ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 22 მაისი 2007 №114 (3037) ფასი 50 თეთრი


# ახლა ნაკრების ყრილობის დროა!

## დანაკლისი მითითებულია პროცენტებში: ასათიანი — ასიანი, არველაძე — ოთხმოცდაათიანი



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 12:2 | 12 |
| შოტლანდია | 6 | 4 | 0 | 2 | 11:6 | 12 |
| უკრაინა | 5 | 4 | 0 | 1 | 8:4 | 12 |
| იტალია | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 10 |
| საქართველო | 6 | 2 | 0 | 4 | 13:12 | 6 |
| ლიტვა | 5 | 1 | 1 | 3 | 3:5 | 4 |
| ფარერები | 6 | 0 | 0 | 6 | 1:23 | 0 |



გელა ბერბერაშვილის ფოტო

13 მაისიდან მოყოლებული, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ჩვენი ტოპ-თემა იყო, თუმც ძალიან კარგია, რომ სკანდალ-ხმაური ნელ-ნელა მიწყნარდა. გულშემატკივრებსაც და ჟურნალისტებსაც მოედნებზე მომხდარი უფრო უნდა გვიტაცებდეს, ვიდრე ფედერაციის პრეზიდენტის სავარძლისთვის ბრძოლის ყურება.

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ბოლო შეხვედრა თითქმის ორი თვის წინ გამართა, 2 და 6 ივნისს კი ლიტვას და საფრანგეთს შეეტოქება სტუმრად. ნაკრების თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა საამხტჩებოდ 24 ფეხბურთელი გამოიძახა...

სიაშია მალხაზ ასათიანი, თუმც მისი ლიტვა-საფრანგეთთან თამაში გამორიცხულია. ახალგამოჯანმრთელებული ასათიანი მოსკოვის „ლოკომოტივში" კი ვარჯიშობს, მაგრამ შვიდთვიანი ტრავმის შემდეგ მისი თამაში ჯერაც სარისკოა, რაც გუშინ თავადაც დაგვიდასტურა.

და შოთა არველაძე? 34 წლის ბომბარდირი მაგარ ფორმაში კია, მაგრამ ამასწინათ გვითხრა, ნაკრებში ველარ ვითამაშებ, ჯანი აღარ მომდევსო — შოთას გუშინაც დავუკავშირდით ჰოლანდიაში და საიმედო ვერაფერი შევიტყვეთ, ლიტვა-საფრანგეთთან ჩემი თამაშის შანსი ათი პროცენტი თუ არისო...

ნაკრების ერთადერთი ახალი სახე გუშინწინ გაჩემპიონებული რუსთავის „ოლიმპის" ცენტრალური მცველი გიორგი ონიანია, რომელიც ერთხელ უკვე ყოფილა ტოპმიოლერის გუნდის შეკრებაზე, მაგრამ არ უთამაშია.

ეროვნული ჩემპიონატიდან კიდევ ორი კაცია გამოძახებული — გრიგოლ ჭანტურია და გიორგი შაშიაშვილი.

სად არის სანდრო იაშვილი? თბილისის „დინამოს" ფორვარდს გოლი გოლზე, უფრო სწორად, გოლები გოლებზე გააქვს, მაგრამ ჯერ ტოპმიოლერის ნდობა ვერ მოუპოვებია, არადა, სიაში ისეთი თავდამსხმელები არიან, თავიანთ კლუბებში საერთოდ რომ არ უწევთ თამაში ან ძირითადში ვერ ხვდებიან.

პირვანდელი გეგმით, ნაკრები 29 მაისს გერმანულ ფრანკფურტში შეიკრიბება და 31 მაისს ჩავა კაუნასში ლიტველებთან სათამაშოდ.

*მეკარეები:* გიორგი ლომაია (კარლ ცაისი, გერმანია), ნუკრი რევიშვილი (რუბინი, რუსეთი), გრიგოლ ჭანტურია (ზესტაფონი);

*მცველები:* კახა კალაძე (მილანი, იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგლისი), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), ზაალ ელიავა (სკონტო, ლატვია), დავით კვირკველია (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), გიორგი შაშიაშვილი (დინამო), გიორგი ონიანი (ოლიმპი), ოთარ ხიზანეიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია);

*ნახევარმცველები:* ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), ვლადიმერ ბურდული (კრივბასი, უკრაინა), ლევან ცქიტიშვილი (პანიონიოსი, საბერძნეთი), ზურაბ მენთეშაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია), დავით მუჯირი (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), ჯაბა კანკავა (დნეპრი, უკრაინა);

*თავდამსხმელები:* გიორგი დემეტრაძე (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა), დავით სირაძე (აუე, გერმანია), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), ოთარ მარცვალაძე (დინამო, კიევი, უკრაინა), შოთა არველაძე (ალკმაარი, ჰოლანდია).



# ვერ დამიჭირეს!

## რევაზ ძოძუაშვილი თვის ბოლოს გაირკვევა

რევაზ ძოძუაშვილმა ჰეთ თრიქი შეასრულა — მას ხელში ადრე „დინამო“ და „ტორპედო“ გაჩემპიონებულან, გუშინწინ კი რუსთავის „ოლიმპმაც“ ირგუნა პირველობა. „მიხიჩა“ მეორე წრის დასაწყისში გათავკაცდა „ოლიმპში“ და მის ხელში გუნდს ერთი თამაშიც არ წაუგია, გიორგი კიკნაძის მწვრთნელობისას აკრეფილი ტემპი რუსთაველებმა არ შეანელეს.

„ამჟამად ძოძუაშვილი „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელი აღარაა, რადგან კონტრაქტი სეზონის ბოლომდე ჰქონდა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის უკვე წასულია გუნდიდან. 27 მაისს კლუბის კრება გაიმართება, სამომავლო გეგმებზე ვისაუბრებთ და შესაძლოა, „ოლიმპი“ ისევე ძოძუაშვილმა გაწვრთნას“ — გვითხრა რუსთავული კლუბის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მამუკა გუგეშაშვილმა.

დაახლოებით იგივე გვითხრა თავად ძოძუაშვილმაც, რომელსაც გუშინ ჩავლილ სეზონზე ვესაუბრეთ...

— სასიხარულოა, რომ რუსთავის „ოლიმპის“ აღორძინებაში ჩემი წვლილი შევიტანე. საკმაოდ კარგ გუნდებს ვაჯობეთ. ჩემპიონობას იოლად ვერ მოიპოვებ, ამისთვის მუხლჩაუხრელი შრომაა საჭირო და მიხარია, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა ეს შეძლეს. ამასთან, თბილისის „ამერთან“ და განსაკუთრებით „დინამოსთან“ მატჩებში რუსთავის სტადიონზე გულშემატკივარი მრავლად მოვიდა — ეს არ არის პატარა საქმე.

— „ოლიმპისთვის“ ყველაზე ძნელი რომელი თამაში იყო?

— როცა სამი-ოთხი გუნდი საჩემპიონოდ მოგდევს, ფსიქოლოგიურად ყველა მატჩი ძნელია. გადამწყვეტი თამაშები კი ბოლოს გვქონდა, იგივე „დინამოსთან“ და „ამერთან“.

— როდესაც „ოლიმპის“ მწვრთნელად დაინიშნეთ, თქვით, მიზანი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლააო. ახლა როგორ ფიქრობთ, ამის მცირედი შანსი მაინც გაქვთ?

— ჩემპიონთა ლიგა დიდი ტურნირია და ამასთან, დიდი ბიზნესიცაა. „ოლიმპს“ ნიჭი არ აკლია, მთავარი ფინანსური მხარეა — საკლუბო ტურნირზე ფინანსების გარეშე ძნელია წარმატების მიღწევა, ხოლო თუ ფული იქნება, ბევრი რამეა შესაძლებელი.

— კი მაგრამ, მანამდე გასარკვევია, ისევ თქვენ იქნებით თუ არა „ოლიმპის“ მწვრთნელი...

— მთავარი საქმე გაკეთებულია, ჩემპიონები გავხდით და ზეიმის საბაბიც გვაქვს. რამდენიმე დღე დავისვენებთ და შემდეგ კლუბის კრებაც გაიმართება, გაირკვევა „ოლიმპის“ გეგმები და ვნახოთ, რა დაფინანსება იქნება, რა ტრანსფერები გაკეთდება. თუ „ოლიმპს“ სერიოზული მიზნები ექნება, აქ დარჩენა ღირს.

— როგორც ვიცით, თურქეთის ერთ-ერთი კლუბი გეპატიჟებათ...

— დიახ, ორი-სამი თურქული გუნდის ვარიანტი მაქვს, მაგრამ ჯერ მათ სახელებს ვერ ვიტყვი, მანამდე „ოლიმპის“ პირობები უნდა გავიგო.

— „ოლიმპს“ რამდენიმე გუნდი უწევდა კონკურენციას. მათგან ყველაზე ძლიერი „დინამო“ იყო?

— „დინამოც“, „ამერიც“, „ზესტაფონიც“ ძლიერები იყვნენ. სამივეს შეეძლო ჩემპიონობა, მაგრამ ვერ გვაჯობეს. მაინც ეგონათ, რომ წავიფორხილებდით, მაგრამ... საინტერესო ისიცაა, რომ ჩამოთვლილი გუნდებიდან, „ოლიმპს“ პირობებით ყველა სჯობდა.

— აბა, რა იყო ის მთავარი, რითაც „ოლიმპი“ ჩემპიონი გახდა?

— ყველა სეზონშია გადამწყვეტი პერიოდები, რომლებშიც ჩვენ დიდი პროფესიონალიზმი და თავდადება გამოვიჩინეთ, თანაც, მთელი მეორე წრე 13-14 ფეხბურთელის ამარა ვიყავით. მოკლე სკამის მიუხედავად, ფიზიკურად არ დავჩაგრულვართ, ყველა თამაშში ვიბრძოლეთ.

— „ოლიმპის“ ლიდერი ვინ იყო?

— ყველა ეს 13-14 ფეხბურთელი.

— მართალია, სეზონში ყველაზე ბევრი გოლი გაიტანეთ, მაგრამ მომენტების რეალიზაციაში მაინც მოიკოჭლებდით. თავდასხმა ყველაზე სუსტი რგოლია „ოლიმპში“?

— ასე ვერ ვიტყოდი. მომენტების გამოუყენებლობა უხარისხო მინდვრების ბრალიც იყო — მარტო ქუთაისში ათამდე საგოლე შანსიდან ოთხი გამოვიყენეთ, ასეთი თამაშები სხვაც ბევრი იყო. გაცუდებული მომენტებიც ფეხბურთის ერთ-ერთი ნაწილია.

და კიდევ: ჩვენი ჩემპიონობის მთავარი ფაქტორი მეტოქეების დაბნევაც იყო. მეორე წრე ისე ჩამთავრდა, ბევრმა ვერ გაიგო „ოლიმპის“ ტაქტიკური სიძლიერე. ხშირად ვცვლიდით მონახაზს, ზოგჯერ რვა კაცით ვუტევდით, ზოგჯერ ამდენივეთი თავს ვიცავდით, მაგრამ ამას ვაკეთებდით როტაციულად. რუსთავის „ოლიმპზე“ ბევრი ამბობდა, დაცვის გუნდიაო, მაგრამ ასე არ იყო — შეტევისას დიდ პოტენციალს ვაჩვენებდით. ეგონათ, რომ ტაქტიკურ მონახაზში დამიჭერდნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს.

**ილია ნანობაშვილი**

# ფინალს უცხოურად იმსაჯებენ?

**საინტერესო** ცნობა საქართველოს თასის ფინალის წინ: შესაძლოა, 26 მაისის მატჩს უცხოელ მსაჯთა ბრიგადა გაუძღვეს, რაც ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამირან კაჭახიძემაც დაგვიდასტურა — უცხოელ მსაჯთა მოწვევის საკითხი განიხილება და ხვალ-ზეგისთვის ყველაფერი დაზუსტდებაო.

აქამდე ქართული გუნდების ურთიერთშეხვედრა უცხოელს არ უმსაჯია, ისე კი, ჩვენს მეზობელ ქვეყნებში ეს ხშირად ხდება.

# ბლატერმა ახალკაცს მიულოცა

**გუშინ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ნოდარ ახალკაცის სახელზე მიიღო ფაქსი ფიფადან: ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი ნოდარ ახალკაცს სფფ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევას ულოცავს:

*ძვირფასო პრეზიდენტო, ძვირფასო მეგობარო*

*გულითადად გილოცავთ 17 მაისს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე, მე-13 ყრილობაზე პრეზიდენტის თანამდებობაზე ხელმეორედ არჩევას და გისურვებთ წარმატებებს 2007-2011 წლებში ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელის თანამდებობაზე საქმიანობაში.*

*ქართულ ფეხბურთს შესანიშნავი ისტორია და ბრწყინვალე მომავალი აქვს. როგორც პიროვნება, რომელიც ძალიან კარგად ვიცნობდი მამათქვენს, მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ თქვენს შესაძლებლობებში და მწამს, რომ არაფერს დაიშურებთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკეთილდღეოდ.*

*ქართული ფეხბურთის აღორძინების საქმეში შეგიძლიათ იქონიოთ ჩემი მხარდაჭერის და ფიფას დახმარების იმედი.*

*ველი თქვენთან შეხვედრას უახლოეს მომავალში ციურიხში, ფიფას კონგრესზე.*

*საუკეთესო სურვილებით,*
*იოზეფ ბლატერი*






**ჩეხეთი**

გამბრინუს ლიგა. XXIX ტური

ბრნო 1:0 კლადნო
ლიბერეცი 2:0 ტეპლიცე
მოსტი 1:1 ბოლესლავი
სიგმა 0:2 სპარტა
ბანიკი 5:1 ბუდეიოვიცე
პლზენი 1:0 იაბლონეცი
სლავია 2:1 ზლინი
სლოვაცკო 2:0 პრჟიბრამი

**ირლანდია**

პრემიერლიგა. XI ტური

სენტ პატრიკსი 1:0 დროჰედა

**ისლანდია**

პრემიერდივიზიონი. II ტური

კოპავოგური — აკრანესი
*გვიან დამთავრდა*

**ფინეთი**

ვეიკაუსლიგა. VI ტური

მიუპა 1:0 კტპ

**უნგრეთი**

ბორსოდი ლიგა. XXIX ტური

უიპეშტი 0:2 ფეჰერვარი

**შვედეთი**

ალსვენსკა. VII ტური

აიკ 1:1 ჰალმსტადი
გაის 0:3 კალმარი
ტრელებორგი 0:3 იურგორდენი

სუპერეტა. VI ტური

ატვიდაბერგი 3:0 ლიუნგსკილე
ბანკეფლო 4:1 ლანდსკრონა
ენჩიოპინგი 1:3 იონკოპინგი
ფალკენბერგი 2:1 სუნდსვალი
სილვია 0:4 იორგრიტე

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — II წრე. 26 ტური

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 26 | 19 | 6 | 1 | 57:9 | 63 |
| დინამო | 26 | 20 | 2 | 4 | 57:19 | 62 |
| ამერი | 26 | 17 | 6 | 3 | 53:14 | 57 |
| ზესტაფონი | 26 | 16 | 9 | 1 | 55:11 | 57 |
| ვიტ ჯორჯია | 26 | 12 | 9 | 5 | 40:28 | 45 |
| სიონი | 26 | 11 | 4 | 11 | 28:26 | 37 |
| ტორპედო | 26 | 9 | 4 | 13 | 24:35 | 31 |
| ლოკომოტივი | 26 | 8 | 6 | 12 | 25:34 | 30 |
| ბათუმი | 26 | 8 | 6 | 12 | 27:30 | 30 |
| ბორჯომი | 26 | 8 | 6 | 12 | 29:35 | 30 |
| მერანი | 26 | 6 | 8 | 12 | 20:41 | 26 |
| ჩიხურა | 26 | 5 | 6 | 15 | 13:46 | 21 |
| დილა | 26 | 3 | 6 | 17 | 21:56 | 15 |
| კახეთი | 26 | 0 | 2 | 24 | 21:86 | 2 |

# წავიდა ის, რაც მოვა

## შვებულება ანუ შვება დაღლილთათვის

მომგებმა მოიგო, წამგებმა წააგო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბოლო ტურის შეხვედრებში ბრძოლა არ ყოფილა. მოიგო იმან, ვისაც სჭირდებოდა, წააგო იმან, ვისაც უქულობით არაფერი დააკლდა. ჩემპიონობის ბედიც, კაცმა რომ თქვას, ბოლოსწინა ტურში გაირკვა, როცა „ოლიმპმა" „ამერთან" არ წააგო, მაგრამ რუსთაველებმა ბეჭედი ქუთაისში დაჰკრეს — პირველი ტაიმის შემდეგ ორი ბურთით უგებდნენ „ტორპედოს" და საქმე ბოლომდე მიიყვანეს.

რუსთაველები ჩემპიონთა ლიგაში, „დინამო" უეფას თასზე: ორი მეევროპე გუნდი უკვე ცნობილია, კიდევ ერთი უეფას თასზე ბედის მცდელი და ინტერტოტოზე გამსვლელი კი 26 მაისს, თასის ფინალში გაირკვევა.

ბოლო ტურში 32 გოლი გავიდა, ანუ საშუალოდ ერთ მატჩში თითქმის 5 ბურთს უწია, რაც წლევანდელი სეზონის რეკორდია.

ორი ჰეთ თრიქიც შესრულდა: ოლიმპელმა რევაზ გოცირიძემ „ტორპედოსთან" გაილაღა, სანდრო იაშვილმა კი „ბათუმი" დაარბია და 21 გოლით დასრულა მისთვის, ვინძლო, ბოლო დინამოური სეზონი — „იაშკას" შეძენა რამდენიმე ევროპულ გუნდს სურს



## ზემოურ-ქვემოური და ქვემოურ-ზემოური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 8 | 3 | 2 | 3 | 7:8 | 11 |
| ზესტაფონი | 8 | 2 | 5 | 1 | 10:7 | 11 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 3 | 1 | 4 | 9:17 | 10 |
| ამერი | 8 | 2 | 4 | 2 | 12:9 | 10 |
| ოლიმპი | 8 | 1 | 6 | 1 | 7:4 | 9 |

ჩემპიონი „ოლიმპი" მხოლოდ მეხუთე ადგილზე — ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდთა ურთიერთშეხვედრებს თუ დავითვლით, სწორედ ამგვარ საინტერესო ცხრილს მივიღებთ. ანუ გამოდის, რომ ჩემპიონობის ბედი ხუთეულის გუნდთა ქვეცხრეულის გუნდებთან მატჩებმა გადაწყვიტა. აქ კი „ოლიმპს" ბადალი მართლაც არ ჰყავდა — ცხრავე გუნდი ორივე მატჩში დაამარცხა.

რაც შეეხება დანარჩენებს...

„დინამოს" ჩემპიონობის დაკარგვად პირველ წრეში „ტორპედოსთან" მარცხი დაუჯდა. სხვათა შორის, ქუთაისელებს მაშინ რევაზ ძოძუაშვილი წვრთნიდა.

„ამერმა" უარესად გაანავა ქულები — ფრეები „ბათუმთან" და „სიონთან" და მარცხი „ბორჯომთან".

უარესად დაკარგა ქულები „ზესტაფონმა". ფრე არა მხოლოდ „სიონთან", არამედ „ბათუმთან" „მერანთან" და „ჩიხურასთანაც" — იმ გუნდებთან, ბოლო ტურამდე ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად რომ იბრძოდნენ.

„ვიტ ჯორჯიამ" კი საჩემპიონო ბრძოლა მხოლოდ ერთი წრე „გაქაჩა" და, თუ გახსოვთ, მეორე ადგილზე იყო. მერე კი ვიტელებს მონასტერი აერიათ და ქულები ფლანგეს და ფლანგეს.

ერთი სიტყვით, რაოდენ დიდი უფსკრულიც უნდა იყოს ლიდერ გუნდებსა და მომდევნოთ შორის, ფაქტია, რომ „დინამოს", „ამერს" და „ზესტაფონს" სწორედ მათთან დაკარგულმა ქულებმა დააკარგვინეს ჩემპიონობის შანსი.

# ძმური ამბავი: იაშვილს მეკარესაც გააქვს





მე-18 ეროვნული ჩემპიონატი დასრულდა და ზედ ბოლო ტურში მეკარის მიერ გატანილი გოლიც ვიხილეთ. თელაველმა გიგა იაშვილმა თერთმეტი მეტრიდან გაუტანა „ლოკომოტივს".

ამ სეზონში მეკარეს პენალტი არ დაურტყამს, თუმც ადრინდელი არაერთი გვახსენდება: პენალტი გაუტანიათ ნიკა ტოგონიძეს, ასლან ბალაძეს, გელა კიკალეიშვილს, გრიგოლ ჭანტურიას, თამაზ პაქსაშვილს (მას რამდენჯერმე თავდამსხმელადაც უთამაშია). ერთი პენალტი აკაკი დევაძემაც შეასრულა, თუმცა კოლეგა ირაკლი ზოიძეს ვერ აჯობა.

იაშვილი „კახეთის" შტატიან პენალტისტად ითვლება და თუ მანამდე ვერ გაიტანა, უფრო გუნდის ბრალია — მეორე წრეში, რაც იაშვილი ტრავმის შემდეგ კარში ჩადგა, „კახეთის" სასარგებლოდ პენალტი არ დანიშნულა.

# თუ წესი წესია...



„დინამო" — „ბათუმის" მატჩისას სოსო გრიშიკაშვილმა და ვახტანგ კვარაცხელიამ წაიკინკლავეს და მსაჯს ყვითლებსაც გამორჩნენ, მაგრამ რაც ბათუმელთა მეკარე გიორგი სომხიშვილმა ჩაიდინა, იმას ახსნა არ აქვს. მეტოქე ფეხბურთელისკენ გაწევა და გაქაჩვა გვინახავს, მაგრამ თანაგუნდელი გაიმეტო და სახალხოდ, მოედანზევე ცემა.

რატომ დახუჭა თვალი ამაზე შეხვედრის არბიტრმა დავით ხარიტონაშვილმა, ძალიან ძნელი სათქმელია. მას სიტყვიერი გაფრთხილებაც არ მიუცია სომხიშვილისთვის, არადა, პირველი წრის ერთი მატჩის ერთი ეპიზოდი გვახსენდება: მოთამაშემ თანაგუნდელს შენიშვნა მისცა, იმან კიდევ, ქართველებს რომ სჩვევიათ, რუსულად „შორს გაუშვა" და ყვითელი ბარათიც მიიღო.

მოკლედ, ეს ის შემთხვევა არ არის, მსაჯს ეპიზოდის ინტერპრეტაციის უფლება ჰქონდეს, აქ წესი წესია და სხვა არაფერი.

**სიმბოლური ნაკრები**

- გაგა ჩხეტიანი — ზესტაფონი
- სანდრო იაშვილი — დინამო
- რევაზ გოცირიძე — ოლიმპი
- რევაზ გინაძე — ოლიმპი
- გიორგი დეკანოსიძე — ამერი
- დენის დობროვოლსკი — ამერი
- დავით ოდიკაძე — დინამო
- გიორგი ნავალოვსკი — ოლიმპი
- ვაჟა ლომაშვილი — დილა
- მიმი დიდავა — ამერი
- გრიგოლ ჭანტურია — ზესტაფონი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 21-ს. იაშვილი | დინამო |
| 13-ზიზია | ზესტაფონი |
| 11-იონანიძე | ზესტაფონი |
| ტატანაშვილი | ამერი |
| 10-გელაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| რ. წინამძღვრიშვილი | ამერი |
| ზეიკრიშვილი | დინამო |
| 9-ს. დავითაშვილი | ამერი |
| ბ. ჭელიძე | ზესტაფონი |
| შ. ჯიქია | ბორჯომი |
| 8-დვალიშვილი | ოლიმპი |
| რ. გოცირიძე | ოლიმპი |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფრაიბურგმა ყველაფერი დაკარგა: მწვრთნელი, კაპიტანი, ბუნდესლიგა

## ალექსანდრე იაშვილმა ჩემოდანი ჩაალაგა

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელ ალექსანდრე იაშვილს მეორე ბუნდესლიგის „ფრაიბურგთან" კონტრაქტი ერთ კვირაში უმთავრდება და მომავალი სეზონიდან მას უკვე სხვა, სავარაუდოდ, ბუნდესლიგის რომელიმე გუნდში უნდა ველოდოთ. სად გააგრძელებს ფორვარდი კარიერას, ეს ამბავი იქნებ ამ კვირაშივე გაირკვეს, ყოველ შემთხვევაში, გერმანიაში სეზონი მორჩა და ალექსანდრე იაშვილიც დღე-დღეზე ელის სატრანსფერო საქმეების მომთავრებას. სეზონი კი გერმანიაში ამ უქმეებზე დამთავრდა. „ფრაიბურგმა", სადაც სეზონი იაშვილის გარდა ოთარ ხიზანეიშვილმაც ჩაამთავრა, მეორე ბუნდესლიგა მეოთხე ადგილით დაასრულა. „ფრაიბურგი" მხოლოდ გატანილ-მიღებული ბურთების უარესი სხვაობით ჩამორჩა მესამეადგილოსან და უკვე ბუნდესლიგელ „დუისბურგს", არადა...

აი, რა საინტერესო რამ გვითხრა „ფრაიბურგის" ან უკვე ყოფილმა კაპიტანმა ალექსანდრე იაშვილმა...

— გერმანელი სტატისტიკოსების მონაცემებით, ჩემპიონატის ერთ წრეში 41 ქულა „ფრაიბურგის" გარდა თავის დროზე მხოლოდ მიუნხენის „ბაიერნს" მოუგროვებია. მეორე წრეში „ფრაიბურგის" შედეგი ერთგვარი რეკორდია, მაგრამ ამის მიუხედავად მეორე ბუნდესლიგაში ჩავრჩით. პირველი წრე ჩავაგდეთ, შემდეგ გაცილებით უკეთ კი ავთამაშდით, მაგრამ ბუნდესლიგამდე სულ რამდენიმე გოლი დაგვაკლდა.

— თუმცა მეორე წრეშიც „ფრაიბურგმა" რამდენიმე სენსაციური ქულა დაკარგა...

— ასეთი მატჩი, მაგალითად, „პადერბორნთან" იყო. მთელი თამაში ვიგებდით, მეტოქემ კი რაღაც სასწაულებრივად ანგარიში ბოლო წამს გაგვითანაბრა. ახლა რომ ის ორი ქულა გვქონდეს, უკვე ბუნდესლიგაში ვიქნებოდით. სამწუხაროა ისიც, რომ „ფრაიბურგს" ამ სეზონში ბუნდესლიგაში გადასულ „კარლსრუესთან", „ჰანზასთან" და „დუისბურგთან" ურთიერთშეხვედრებში უკეთესი ბალანსი ჰქონდა, სამივე გუნდთან ოთხ-ოთხი ქულა ავიღეთ.

— ქულების უმეტესობა აუტსაიდერებთან დაგიკარგავთ...

— პირველ წრეში გუნდი გუნდს არ ჰგავდა და გასაკვირიც არ არის, რომ მოულოდნელი ქულები დავკარგეთ. მეორე წრეში კი, ვფიქრობ, მეორე ბუნდესლიგაში ყველაზე კარგი გუნდი სწორედ „ფრაიბურგი" იყო.

— შენი ამბავი როგორაა, ჯერ კიდევ „ფრაიბურგის" ფეხბურთელი ხარ?

— ფაქტობრივად, აღარ, ისე კი, კონტრაქტი ოფიციალურად 30 მაისს მიმთავრდება.

— 30 მაისის მერე რა იქნება?

— მერე ის იქნება, რომ „ფრაიბურგში" აღარ ვიქნები. გუნდიდან ჩემი წასვლის ამბავი ყველამ იცის, გადაწყვეტილება საბოლოოა — „ფრაიბურგთან" კონტრაქტს აღარ გავაგრძელებ.

— კლუბის უფროსობასთან უკვე შეთანხმებული ხარ?

— უფროსობასთან არა, მაგრამ მწვრთნელთან, მეორე მწვრთნელთან და მენეჯერთან ყველაფერი მოგვარებულია. აქამდეც საქმე მხოლოდ მათთან მქონდა.

— „ფრაიბურგი" მწვრთნელმა ფინკემაც დატოვა?

— დიახ. „ფრაიბურგიდან" ფოლკერ ფინკეც წავიდა და მეც წასული ვარ. გუნდიდან მიდის მეორე მწვრთნელიც, რომელსაც გუნდის გაძღოლას სთავაზობდნენ, მაგრამ უარი თქვა.

— შენი მომავალი გუნდი როდის გაირკვევა?

— ალბათ უახლოეს ერთ კვირაში. ვნახოთ, როგორც ვიცი, რამდენიმე გუნდს უკვე დაწყებული აქვს მოლაპარაკება ჩემს აგენტთან.

— გერმანიაში დარჩები?

— ალბათ.

— ლიტვა-საფრანგეთთან მატჩებისთვის ნაკრებში უკვე გამოგიძახეს?

— დიახ, ჩემს და ოთარ ხიზანეიშვილის სახელზე ფეხბურთის ფედერაციიდან მოწვევა უკვე მოვიდა.

**ქობა ინასარიძე**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | უდინეზე 2:3 | 0 | | 17 | 1 | 4 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | არმინია 2:1 | 90 | | 29 | 3 | 2 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით სირაძე | აუე | შ | მიუნხენ 1860 2:2 | 0 | | 24 | 3 | 10 |
| გიორგი ლომაია | კარლ ცაისი | ს | აუგსბურგი 2:1 | 90 | | 15 | 0 | 13 |
| მიხეილ აშვეთია | კარლ ცაისი | ს | აუგსბურგი 2:1 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 12 | 5 | 13 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | კობლენცი 2:0 | 90 | | 31 | 10 | 4 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | კობლენცი 2:0 | 0 | სათადარიგო | 12 | 1 | 4 |
| მათე ღვინიანიძე | მიუხენ 1860 | ს | აუე 2:2 | 77 | შეცვალეს | 19 | 1 | 8 |
| **ჰოლანდია. ელეიოფი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | შ | აიაქსი 2:1 | 90 | გოლი | | | |
| **უკრაინა. ვიშა ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | შ | ხარკოვი 2:0 | 0 | | 4 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | შ | ხარკოვი 2:0 | 0 | | 6 | 0 | 1 |
| დავით იმედაშვილი | დინამო | შ | ხარკოვი 2:0 | 0 | | 5 | 0 | 1 |
| გიორგი ჭელიძე | ზარია | შ | ვორსკლა 0:0 | 57 | შეცვალეს | 9 | 1 | 12 |
| ლაშა ჯაკობია | არსენალი | ს | მ. დონეცკი 1:2 | 90 | | 15 | 3 | 13 |
| დავით კვირკველია | მ. ზაპოროჟიე | შ | დნიპრო 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 22 | 4 | 9 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | დნიპრო 1:1 | 0 | | 19 | 3 | 9 |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | ს | მ. ზაპოროჟიე 1:1 | 45 | შეცვალეს | 20 | 4 | 4 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | შ | ტავრია 0:0 | 0 | სათადარიგო | 26 | 11 | 10 |
| ლადო ბურდული | კრივბასი | შ | ტავრია 0:0 | 0 | | 19 | 1 | 10 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | შ | სტალი 3:0 | 0 | | 17 | 0 | 7 |
| გიორგი ციმაკურიძე | ილიჩევეცი | ს | მეტალისტი 0:2 | 0 | | 13 | 0 | 15 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | არსენალი 2:1 | 30 | შეცვლაზე შევიდა, გააფრთხილეს | 16 | 3 | 8 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გოგიტა გოგუა | სატურნი | შ | ნალჩიკი 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 8 | 0 | 11 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | ზენიტი 1:2 | 0 | | 3 | 0 | 16 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | ს | ზენიტი 1:2 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 16 |
| დავით მუჯირი | კრილია | ს | ტომი 2:1 | 77 | შეცვალეს | 9 | 2 | 4 |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | სპარტაკი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 5 |
| ალეკო ამისულაშვილი | ნალჩიკი | ს | სატურნი 1:1 | 90 | | 10 | 0 | 12 |
| ლევან გვაზავა | ნალჩიკი | ს | სატურნი 1:1 | 16 | შეცვლაზე შევიდა, საგოლე პასი | 8 | 0 | 12 |
| **დანია. სასლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი | შ | კოპენჰაგენი 0:1 | 90 | | 10 | 0 | 10 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი ჩვენი მეტოქეები

# უკრაინას წინაც აკლია და შუაშიც

**2 ივნისს** უკრაინის ნაკრები საფრანგეთს ესტუმრება და ევროშესარჩევის მატჩს გამართავს, 6-ში კი კიევში ახალ ზელანდიას ამხანაგურად გაეჯიბრება. კუნძულელებთან ამხანაგობა დიდი ვერაფერი ბედნაა, აი, პარიზულ მატჩს კი დიდი ინტრიგა ახლავს — ორივე გუნდი ჯგუფის თანაბარქულიანი ლიდერია. „მამლები" შესუსტებული შემადგენლობით კი დაუხვდებიან სტუმრებს, მაგრამ დანაკლისს ვერც უკრაინელები ასცდნენ. ტრავმების გამო ოლეგ ბლოხინის გუნდს მთავარი შემტევი ძალა დააკლდება — ანდრეი შევჩენკო და სერგეი რებროვი და ვერც საყრდენ ნახევარმცველი ანდრეი გუსინი ითამაშებს.

ბლოხინმა საამმატჩოდ 21 ფეხბურთელი იხმო:

*მეკარეები:* ალექსანდრ შოვკოვსკი (დინამო კიევი), მაქსიმ სტარცევი (დნიპრო), ანდრეი პიატოვი (ვორსკლა);

*მცველები:* ანდრეი ნესმაჩნი (დინამო კიევი), დმიტრი ჩიგრინსკი, ალექსანდრ კუჩერი (შახტარი), ანდრეი რუსოლი, ვლადიმირ ეზერსკი (დნიპრო), ვიაჩესლავ სვიდერსკი (ჩერნომორეცი);

*ნახევარმცველები:* ოლეგ გუსევი, რუსლან როტანი, ტარას მიხალიკი (დინამო კიევი), ალექსეი გაი (შახტარი), სერგეი ნაზა-რენკო, ოლეგ შელაევი (დნიპრო), ანატოლი ტიმოშჩუკი (ზენიტი, რუსეთი), მაქსიმ კალინიჩენკო (სპარტაკი, რუსეთი), ევგენი ლევჩენკო (გრონინგენი, ჰოლანდია);

*თავდამსხმელები:* ალექსეი ბელიკი, ანდრეი ვორობეი (შახტარი), ანდრეი ვორონინი (ლივერპული, ინგლისი).

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ფრანგები მინუსებში არიან

**6 ივნისს** საქართველოს ნაკრები ფრანგებს ესტუმრება 2008 წლის ევროშესარჩევის მატჩის ჩასატარებლად. ჩვენები დანაკლისს ნაჩვევი არიან, მაგრამ უძლიერესი შემადგენლობით ვერც „მამლები" დაგვიხვდებიან. ტიერი ანრის, ვილი სანიოლის, პატრიკ ვიეირას და ლუი საას შემდეგ ფრანგთა ლაზარეთი მანჩესტერელმა მიკაელ სილვესტრმა და ლიონელმა სილვენ ვილტორდმა შეავსეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რაიო, რაიო, რაიან? გულადი პეტრ ჩეხი და ათასი ინტერპრეტაცია

გიკვირთ? „მანჩესტერ იუნაიტედმა“ დაიჩივლა, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში რაიან გიგზს წესების სრული დაცვით გატანილი გოლი არ ჩაუთვალეს. კერძოდ, ეს პრეტენზია თავად გოლის ავტორს, უელსელ ვარსკვლავ რაიან გიგზს აქვს...

გავიხსენოთ ეპიზოდი: დამატებით დროში, 104-ე წუთზე, უეინ რუნის დაბალ პასს გიგზმა გასრიალებით ფეხი მიჰკრა. ბურთი ლონდონის „ჩელსის“ მეკარე პეტრ ჩეხმა დაიჭირა, მაგრამ გასრიალებული გიგზი ინერციით მეკარეს დაეჯახა და კარის ხაზს იქით შეტენა. მთავარმა მსაჯმა, სტივ ბენეტმა კი ჯარიმა არ დანიშნა, ჩეხს ბურთი ჩვეულებრივ შეატანინა თამაშში.

გიგზი: „მე ვუთხარი მსაჯს, ბურთმა კარის ხაზი რომ გადაკვეთა, შენც კარგად დაინახე და თანამსაჯმაც-მეთქი. ის გოლი რომ ჩათვლილიყო, იოლად შესაძლებელია, თამაში მოგვეგო და თასიც მოგვეპოვებინა“.

ბუნებრივია, სხვა აზრისაა „ჩელსის“ გოლკიპერი: „ჯარიმა უნდა დანიშნულიყო. მე ბურთი კარის ხაზს გარეთ დავიჭირე, რაიან გიგზი კი გამოსრიალდა, სახეში მომარტყა და ხაზის შიგნითაც შემაგდო. სახეზე გიგზის ფეხი მეფარა და ბურთს საერთოდ ველარ ვხედავდი. როდესაც თვალებში გამოვიხედე, ჩვენ ისევ ხაზს გარეთ ვიყავით, თუმცა ამას მნიშვნელობა არ აქვს. ჩემთვის აშკარაა, ეს ჯარიმა იყო. თავიდანვე მინდოდა, დამენახა, სად იყო ბურთი და უნდა გითხრათ, რომ სანამ გიგზი დამეჯახებოდა, მე ის კარგად დავაფიქსირე. ერთი სიტყვით, ეპიზოდი რომ დასრულდა, დარწმუნებულმა, რომ გოლი არ გასულა, თამაში ჩვეულებრივ გავაგრძელე“.

ინგლისური პრესა ამ ეპიზოდის კომენტირებისას აღნიშნავს, რომ მეკარისთვის, რომელმაც ასეთსავე ვითარებაში, ოქტომბერში, „რედინგთან“ შეხვედრის დროს, თავის სერიოზული ტრავმა მიიღო, გიგზის წინააღმდეგ ჩახტომა და ბურთის დაჭერა ნამდვილი გმირობა იყო.

„რასაკვირველია, მე ბურთის დაჭერა მინდოდა და ყველა ღონე ვიხმარე კიდეც, რათა დამეჭირა. ეს მეკარის თამაშის შემადგენელი ნაწილია. ჩვენ ხშირად გვიწევს თავდამსხმელის ფეხებში ჩავარდნა და სწორედ ეს გავაკეთე იმ ეპიზოდშიც. ასეთ დროს ყველაზე ცუდი ყოყმანია. თუ ყოყმანობ, შესაძლოა, დაშავდე. ამიტომაც არ მიყოყმანია. იცით, მას მერე, რაც მოედანს დავუბრუნდი, ძველი ტრავმა ერთხელაც აღარ გამხსენებია. რაკილა ვთამაშობ, ასი პროცენტით უნდა ვითამაშო“ — განმარტა ჩეხმა.

მანჩესტერელები კი მაინც მისტირიან იმ ეპიზოდს...

მაიკლ კარიკი: „ნამდვილი გოლი იყო, რომელიც არ ჩაგვითვალეს. რა უნდა თქვა ასეთ დროს? ბურთმა კარის ხაზი გვარიანად გადაკვეთა. ასეთ მნიშვნელოვან თამაშებში კაცი უშეცდომო მსაჯობას ელი და შეცდომებს აწყდები. მსაჯობა საშინელი პროფესიაა, შენმა ერთმა შეცდომამ გუნდს შეიძლება სეზონი გაუფუჭოს. იმ ფინალის ბედი ერთ გოლს უნდა გადაეწყვიტა. ჩვენ ამ გოლის გატანის შანსებიც გვქონდა და გავიტანეთ კიდეც, მაგრამ არ ჩაგვითვალეს. სამწუხაროა...“

„მანჩესტერ იუნაიტედის“ შოტლანდიელ მწვრთნელს სერ ალექს ფერგიუსონს კი, როგორც განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანს, ამ ეპიზოდის თავისებური ხედვა აქვს:

„მე ის მომენტი ჩანაწერშიც ვნახე და მწამს, პენალტი უნდა დანიშნულიყო. აი, ეს იქნებოდა სამართლიანი გადაწყვეტილება. რაც შეეხება ბურთის ხაზს მიღმა გადასვლა-არგადასვლას, თანამსაჯი ამას ვერ შეაფასებდა, რადგან მოხერხებულ ადგილას არ იდგა, ხოლო, რაც შეეხება წესის დარღვევას, ეს მსაჯს აშკარად უნდა დაენახა. ესიენმა გიგზი წააქცია და მას პენალტი უნდა დაენიშნა, ხოლო ის, რომ ბურთი ხაზს იქით გადავიდა, მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს“.

**ბაჩუნა ძიდია**

# ფეხი და ენა
## მე ვნერვიულობ, შენ ნერვიულობ...

**დიდიე** დროგბაზე ამბობენ, ოქროს ფეხი და ვერცხლის ენა აქვსო. თურმე, ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალის წინ, 29 წლის კოტ დივუარელს „ლურჯი“ თანაგუნდელები“ ერთად შეუკრებია და ისეთი სიტყვა უთქვამს, ნორმალურ ქვეყანაში პრეზიდენტობის კანდიდატს შეშურდებოდა — შეგახსენებთ, რომ მატჩის ერთადერთი გოლი, რომელმაც ჯილდო ლონდონელებს მოუტანა, დამატებით დროში სწორედ დიდიე დროგბამ გაიტანა.



მაუს სამი ჯილდ: დიდიე დროგბა, ბუცრელი ცუგა და ასოციაციის თასი

ისე, წესითა და რიგით, მატჩის წინ თანაგუნდელების დამშვიდება და საბრძოლოდ განწყობა ვისი მოვალეობაა? ცხადია, კაპიტნის, ანუ ამ შემთხვევაში ჯონ ტერის, მაგრამ სწორედ ამ შემთხვევაში სიტუაცია სხვანაირად აეწყო.

ტერი თავად ყვება:

„თამაშის წინ დიდიემ ყველას დაგვიძახა და სიტყვით მოგვმართა. მან ასეთი რამ თქვა: მე ვნერვიულობ და ვიცი, ამ მხრივ ყველანი ერთ დღეში ვართ, მაგრამ მერწმუნეთ, ჩვენ ვიბრძოლებთ და თან ისე, რომ ყოველი ჩვენგანი მაქსიმუმს გაიღებს. ეს რომ თქვა, დროგბამ შემოგვხედა და უმეტესობის მზერა დაიჭირა. ამით მან საუცხოო საქმე გაგვიკეთა. ნამდვილად არ ვიცოდი, ჩვენს შეკრებას და დალაპარაკებას თუ აპირებდა“.

მატჩის შემდეგ, როდესაც დროგბას ამბავი პრესისთვის ცნობილი გახდა, კოტდივუარელს, ბუნებრივია, კომენტარისთვის აქედანაც მოუარეს და იქიდანაც, მაგრამ საკუთარი თავის ქება ერთხელაც ვერ დააცდენინეს.

„ჩვენს გუნდში ყველამ კარგად იცის, რომ „ჩელსის“ ფეხბურთელობა დიდი ტვირთია, ასე რომ, ჩვენ მუდმივად ერთად ვართ. მე, უბრალოდ, მოხდენილი სიტყვა ვიპოვე. შემდეგ, როდესაც გოლი გავიტანე, მთელი გუნდი ემოციებად დაიღვარა. ბედნიერი ვარ. ვეჭვობ, ბოლომდე გავაანალიზო, თუ რას მივაღწიეთ რამდენიმე დღეში... თუნდაც წლებში. ეს იყო ფანტასტიკურ სტადიონზე გამართული დიდი მატჩი. მწამს, როდესაც გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში გამარჯვებული შედიხარ, უნდა გახსოვდეს, რომ შეიძლებოდა, წაგვეგო კიდეც. მე რომ აქ ვარ და ვიმარჯვებ, ჟოზე მაურინიუსა და რომან აბრამოვიჩის დამსახურებაა და მინდა, სწორედ ახლა მათ გადავუხადო დიდი მადლობა“.

**ბაჩუნა ძიდია**

# ბანკეტი

**ფეხბურთის** ასოციაციის თასის მოპოვების შემდეგ „ჩელსის“ მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ თავისებურები თქვა. აბა, ისე როგორ იქნებოდა? აი, მაგალითად, ფრიად ორიგინალური აზრი „მანჩესტერ იუნაიტედის“ შესახებ:

„ხალხი მიიჩნევს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ შემტევი ფეხბურთის მიმდევარია, მაგრამ მე ხალხს არ ვეთანხმები. ეს გუნდი მეტოქეს კონტრშეტევით კლავს და ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ კონტრშეტევის საშუალება არ უნდა მისცე. აი, მაგალითად, ფინალში მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა: კიდევ სამი საათი რომ გვეთამაშა, ისინი ჩვენ გოლს ვერ გაგვიტანდნენ. თამაშის წინ ჩემი ფეხბურთელები არჩევანის წინაშე დავაყენე: რა გინდათ, სიამოვნება თამაშით თუ თამაშის შემდგომი ბანკეტით, რომელიც გამარჯვებულისთვის იმართება? მათ ერთხმად ბანკეტი ამჯობინეს და ამიტომ, ლაღ ფეხბურთს მანჩესტერული კონტრშეტევების საწინააღმდეგო, ფრთხილი, ტაქტიკური თამაში ვარჩიეთ. როგორც ხედავთ, მართალნიც აღმოვჩნდით. ეს უკვე ჩვენი მეექვსე ინგლისური ჯილდოა ჩემი ლონდონში გადმობარგების შემდეგ (ორი პრემიერლიგა, ორი „კარლინგის“ თასი, ქომუნითი შილდი და ფეხბურთის ასოციაციის თასი). შარშან, როდესაც ზედიზედ მეორედ მოვიგე პრემიერლიგის ჩემპიონობა, ბევრმა ტრიუმფატორად წასვლა მირჩია, მე კი ვუთხარი, რომ დარჩენა და ახალი ჯილდოების მოპოვება მინდა. კონტრაქტით კიდევ სამი წელიწადი უნდა დავყო „ჩელსიში“. ეს მისტერ კინიონმაც დამიდასტურა, მე კი ის ღირსეულ ადამიანად მიმაჩნია და არა მატყუარად“.


ნაფინალევს პიტერ კინიონმა ჟოზე მაურინიუს მხარზე ხელი დაჰკრა

**ბაჩუნა ძიდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მან ასახელა სამშობლო!

**ინგლისური** სელებრითი ამბებიდან თქვენი ყურადღება იმაზე შევაჩერებთ, რომ გუშინ მადრიდის „რეალის“ ვარსკვლავი და ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი დევიდ ბექჰემი ესპანეთის დედაქალაქიდან კერძო თვითმფრინავით ლონდონს გაეშურა, სადაც მონაწილეობა მიიღო დაჯილდოვების ცერემონიალში „უცხოეთში მცხოვრები უდიდესი ბრიტანელი“. არ დაიბნეთ, ლაპარაკია წლის საუკეთესო ბრიტანელზე და უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ლონისძიებას ბრიტანეთში საკმაოდ აფასებენ.

ბუნებრივია, გაგიჩნდათ კითხვა: რა დამსახურებების გამო დაასახელეს ფეხბურთელი წლის უდიდეს ბრიტანელთა შორის? პასუხი ასეთია: არა მხოლოდ ბურთის გორების გამო.






სრულიად ინგლისმა და, როგორც ჩანს, არა მხოლოდ ინგლისმა, არამედ იმპერიის სხვა წევრებმაც, მიიჩნიეს, რომ დევიდ ბექჰემი, როგორც საზოგადო მოღვაწე, მათი ქვეყნის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ ბექჰემმა დიდი პირადი ღვაწლი შეიტანა 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ლონდონისთვის მოპოვების საქმეში. ერთი სიტყვით, ავტორიტეტი ავტორიტეტია და ამ ფაქტს ვერსად წაუხვალ.

ხსენებული დაჯილდოვების ცერემონიალი გუშინ იქაური დროით საღამოს 9 საათზე ITV1-ს უნდა გადაეცა, ხოლო დაჯილდოვების შემდეგ დევიდი იმ თავის დაქირავებულ თვითმფრინავში უნდა ჩამჯდარიყო და მადრიდში დაბრუნებულიყო, რადგან დღეს დილით „რეალის“ ვარჯიშზე მიესწრო.

აი, ნამდვილი პროფესიონალიზმი! მართო ამისთვის ეკუთვნის ამ კაცს ჯილდო!

რაც შეეხება წლის საუკეთესო უცხოეთში მცხოვრებ ბრიტანელს, მის ნომინანტებს ხალხი ასახელებდა და გამარჯვებულებიც უშუალოდ გადაცემის მსვლელობისას ხალხს სატელეფონო ზარებით უნდა გამოევლინა. ჩვენ, როგორც სპორტული გაზეთი, ამ მოვლენას გვიან ღამემდე, უფრო სწორად კი, დღეის გამთენიამდე ვერ დაველოდებოდით — მით უფრო, გაზეთის სტამბაში ველარ მისწრების პერსპექტივით — თუმცა იმას კი მოგახსენებთ, რომ ბექჰემის გარდა „უცხოელი ბრიტანელის“ კატეგორიაში იყვნენ რობი უილიამსი, სერ პოლ მაკარტნი, კინოვარსკვლავი ჯული ენდრიუსი, ბრიტანეთის ყოფილი პრემიერი მარგარეტ ტეტჩერი და „ქუინი“. ჯილდოების ჩამომრიგებლებად ორგანიზატორებს გამზადებული ჰყავდათ რამდენიმე მუსიკოსი და სერ ჯეფრი ჰერსტი — სწორედ ის ფეხბურთელი, რომელმაც მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატის ფინალში სამი გოლი გაიტანა.

და სად არის ამ დროს მისის ვიქტორია ბექჰემი? ის ლოს ანჯელესშია, მისი და დევიდის ამერიკაში გადასახლების საქმეებს აგვარებს. ეს ფოტოც კალიფორნიაში გახლავთ გადაღებული.

კერძოდ, რით არის „პოში“ დაკავებული? საკუთარ ოჯახზე ფილმს ამზადებს და თან, როგორც ამბობენ, „სფაის გელზის“ აღსადგენად ხარჯავს ძალასა და ღონეს. ამბობენ, რომ ქალთა პოპ-ჯგუფის ხელმეორედ შობა უკვე გადაწყვეტილია და უკვე კონცერტების თარიღებიც კი არის შეთანხმებული.

**ბაჩუნა ძიდია**

# რობერტოც მაგარია და რეალიც!




„რეალმა“ თამაში ასე თუ გააგრძელა, წლეულს ესპანეთის ჩემპიონობას კი მოიგებს, მაგრამ გულშემატკივრებსაც მიიყვანს ინფარქტამდე... სამეფო თეთრები დანის პირზე დადიან — ჯერ „სევილიასთან“ ეპიკური მატჩი, მერე „ესპანიოლთან“ უდაძაბულეს შეხვედრაში მოპოვებული ფანტასტიკური გამარჯვება და ახლა „უელვასთან“ ბოლო წუთზე მოგება... მორიგ ტრილერში ფაბიო კაპელოს შეგირდები პრიმერას ლიდერობის დაკარგვასთან ძალიან ახლოს იყვნენ — მასპინძელმა უჩემ „რეალს“ ანგარიში 86-ე წუთზე გაუთანაბრა, „ვისენტე კალდერონზე“ კი „ბარსელონამ“ „ატლეტიკო“ შეახრამუნა და... თუმცა გამოჩნდა ჯადოსნური რობერტო კარლოსი და საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე „უელვას“ გადამწყვეტი გოლი შეუგდო. ლა ლიგაში კასტილიელთა თავზეხელაღებული ავანტიურა გრძელდება, მადრიდული „ასი“ კი ნამატჩევს ფაბიო კაპელოს და რობერტო კარლოსს გაესაუბრა...




## ფაბიო კაპელო:

— ბოლო რამდენიმე მატჩია, „რეალი“ გულშემატკივარს შთამბეჭდავ გამარჯვებებს უძლვნით...

— მეტოქეს ორი გოლი ვაჩუქეთ, მაგრამ საერთო ჯამში გუნდმა შესანიშნავად ითამაშა. მოგებას 90-ე წუთზე კი არა, უფრო ადრეც ვიმსახურებდით, რადგან საგოლე ეპიზოდები ჩვენ უფრო ბევრი შევქმენით. თუმცა რა გაეწყობა, ფეხბურთი ასეთია. არ უნდა მოდუნდე მაშინ, როცა ძლიერი მეტოქე გყავს. მესამე გოლისას რეალელთა მოძრაობა მომეწონა — რობერტო კარლოსმა ლამის ოთხმოცი მეტრი ირბინა, რათა საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩენილიყო. ეს ამტკიცებს, რომ „რეალს“ ძარღვებში სისხლი უჩქეფს.

— როცა „უელვამ“ ანგარიში გაათანაბრა, ძალიან გაბრაზდით...

— გავბრაზდი, აბა, რა იქნებოდა?! 2:0-ს ვიგებდით და უცებ „უელვა“ ორი გოლით დაგვასაჩუქრეთ... ასეთი რამ მეორედ აღარ უნდა მოხდეს. მატჩის ბედის გადაწყვეტა გაცილებით ადრე შეგვეძლო, თუმცა ხელსაყრელი სიტუაციები ვერ გამოვიყენეთ.

— რობერტო კარლოსის ეს გოლი პრიმერადივიზიონის ჩემპიონობას ნიშნავს?

— რაღაც მართლა ძალიან მნიშვნელოვანს რომ ნიშნავს, ამაში დარწმუნებული ვარ. საჭიროზე საჭირო გოლი იყო.

— „უელვასთან“ მიღწეულ სამ ქულას ოქროს მედლების მოტანაც შეუძლია?

— ჯერ სამი მატჩი კიდევ არის დარჩენილი.

— მეორე ტაიმში ძალიან ინერვიულეთ?

— რთული თამაში იყო და, ცხადია, ვინერვიულე. მაგრამ გუნდისადმი სასაყვედურო არაფერი მაქვს.

— ფიქრობთ, რომ თქვენი „რეალი“ ბედის ნებიერი გუნდია?

— ბედი უნდა გქონდეს, მაგრამ ჩემი ფეხბურთელები მატჩების ბოლო წუთებში შესანიშნავად ირჯებიან. გუნდური სულისკვეთებაც თავისას აკეთებს. გოლის გატანის მერე რობერტო კარლოსი თანაგუნდელებმა კინაღამ რომ დაახრჩვეს? რობერტოც მაგარია და „რეალიც“.

— „უელვაზე“ რას გვეტყვით?

— სწრაფი და ძლიერი გუნდია — კონტრიერიშებზე თითქმის უშეცდომოდ თამაშობენ, მაგრამ მადრიდის „რეალთან“ ვერაფერი გააწყვეს.

## რობერტო კარლოსი:

— „როგორც ყოველთვის“, გამარჯვების მისაღწევად ბოლომდე იწვალეთ...

— თავიდან მატჩის სადავეები ჩვენი იყო, მოედანზე „რეალი“ ბატონობდა, მაგრამ მერე სიტუაცია უეცრად შეიცვალა, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა. გუნდი კარგ ფორმაშია და არა მგონია, ბოლოდროინდელი შედეგებით ვინმე უკმაყოფილო იყოს. სეზონის დასაწყისიდანვე ძალიან ნაყოფიერად ვიმუშავეთ, ბევრი სირთულე გადავლახეთ და არცაა გასაკვირი, ახლა ასეთი შედეგები რომ გვაქვს.

— მატჩის ბედი კი თქვენმა გოლმა გადაწყვიტა და „რეალი“ კვლავ პრიმერას ლიდერად დატოვა...

— ძალიან მინდოდა, მნიშვნელოვანი გოლი გამეტანა. თანაგუნდელებიც დამეხმარნენ და ამისთვის მათ მადლობას ვუხდი. ჩემს კარიერაში ეს ერთ-ერთი საუკეთესო მომენტია.

— „უელვასთან“ თამაშის შემდეგ „რეალის“ უძლეველობაზე არ ფიქრობდით?

— პრიმერას დასრულებამდე სამი მატჩი დაგვრჩა, ანუ სამი ფინალი და მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გავალთ. შეიძლება, ახლა ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ დაუმარცხებლები ვართ, მაგრამ ეს ასე არ არის. ბრძოლას მანამდე არ შევწყვეტთ, სანამ საჩემპიონო მარათონი არ დასრულდება. ფიზიკურად და სულიერად თავს ჩინებულად ვგრძნობთ, ვარჯიშითაც კარგად ვვარჯიშობთ და „რეალის“ სიძლიერეს მოედანზე ვამტკიცებთ. ქომაგები სტადიონზე გასართობად და სიამოვნების მისაღებად უნდა მოვიდნენ — ეს არის ჩვენი მიზანი.

— „რეალს“ უკვე ესპანეთის ჩემპიონად თვლით?

— თუ ასე გავაგრძელებთ, დარჩენილ სამ თამაშსაც მოვიგებთ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ეს ადვილი არ იქნება. ჩემპიონობის იმედი გვაქვს, თუმც სანამ ლა ლიგა არ დამთავრდება, ეიფორიას არ მივეცემით.

— რობერტო კარლოსს და, საერთოდ, მადრიდის „რეალს“ წლეულს საკმაოდ მწვავედ აკრიტიკებდნენ...

— ხალხი ფიქრობს, რომ რობერტო დაბერდა, არადა, უფრო მეტს დავრბივარ, ვიდრე 20 წლის ასაკში! ყველაფერი კარგად იქნება. ბედნიერი ვარ, რომ გუნდმა მნიშვნელოვანი სამი ქულა ჩემი გოლით მოიპოვა.

# ისევ შენ და ისევ მე
## რა ენაზე ლაპარაკობს ანრი?



**მარადიული** თემა — ტიერი ანრი და „ბარსელონა“. არც კატალონიელები ეშვებიან ფრანგს და არც ანრი ანებებს თავს ორაზროვან ლაპარაკს.

„ახლა „არსენალი“ ისეთივე ძლიერია, როგორც „ლივერპული“, „ჩელსი“ და „მანჩესტერი“. როცა ტიტულს ერთი გოლის გამო ჰკარგავ, ასეთი სიტუაცია ჩემთვის მეტ-ნაკლებად მისაღებია, მაგრამ როცა ჯილდოდან შორს რჩები, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვერ იქნები“ — განუცხადა ფრანგმა „არსენალ TV“-ს.

ინგლისში ანრის ნათქვამისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ, კატალონიაში კი წამსვე თავისებურად გადახარშეს. ბარსელონელები აცხადებენ, რომ ანრი უკმაყოფილოა, წლეულს „მეთოფეებმა“ პრემიერლიგაში მხოლოდ მეოთხე ადგილი რომ დაიკავეს და ლონდონური გუნდის დატოვებას აპირებსო... გარდა ამისა, „სპორტის“ ვარაუდით, „არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი კლუბის მეპატრონეებს გაებუტა, სამომავალსეზონოდ გუნდში აღარ დარჩება და, თუ წავიდა, ერთგულ შეგირდ ანრისაც გაიყოლებს...

ნისლიან ალბიონზე კი სულ სხვა ვარაუდები აქვთ. ამბობენ, „არსენალი“ ვენგერს ტრანსფერებისთვის 60 მილიონ ევროს მისცემსო...

ანრის გარდა „ბარსას“ „ლიონის“ ერიკ აბიდალის შეძენაც უნდა. ფეხბურთელი ახლა სენ ტროპეს ოქროს პლაჟზე ისვენებს და ტვინს ერთადერთი აზრი უბურღავს — კარიერის გასაგრძელებლად „ბარსელონა“ აირჩიოს თუ „მილანი“.

ვინ გაიმარჯვებს სატრანსფერო ომში, დრო გვაჩვენებს. აბიდალის ლიონური ფასი კი 20-25 მილიონი ევროა...

**ლადო ხომერიკი**

# მსოფლიოს უსახლკარო ჩემპიონატი

**უსახლკაროთა** შორის მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონი რუსეთი ამ ზაფხულს ტიტულის დაცვას შეეცდება. „ბომჟების“ მუნდიალს კოპენჰაგენი მასპინძლობს.

„ფეხბურთი ცხოვრების რთულ მომენტში ძალიან დამეხმარა და იმედი მომცა“ — თქვა ჩემპიონმა ვიაჩესლავ შელაევსკიმ. იგი სოფლიდან ჩავიდა სანკტ პეტერბურგში, მაგრამ სამუშაო ვერ ნახა, ქუჩაში დარჩა და „გაბომჟდა“.

მეხუთე ჩემპიონატი 29 ივნისს დაიწყება და 4 ივლისს დამთავრდება. უეფა ამ ტურნირს ფინანსურად ეხმარება — კლუბების თუ ნაკრებების მიერ გადახდილი ჯარიმები უსახლკაროთა მუნდიალს შეეწევა.

# რობსონმა სამუშაო ნახა

**პრემიერლიგიდან** გავარდნილი „შეფილდ იუნაიტედის“ მწვრთნელად ბრაიან რობსონს დანიშნავენ. SKY-ს ცნობით, ყველაფერი შეთანხმებულია და მხოლოდ ხელის მოწერაღა აკლია. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი კაპიტანი შარშან „ვესტ ბრომვიჩს“ თავკაცობდა, მაგრამ ოქტომბერში მოხსნეს...

„მე უკვე ვეცნობი „შეფილდის“ შემადგენლობას. „შეფილდი“ დიდი კლუბია და მისი მწვრთნელობა ჩემთვის გამოწვევაა“.

# მალუდა გამოიკითხეს

**საფრანგეთის** ნაკრებისა და „ლიონის“ ნახევარმცველი ფლორენ მალუდა სეზონის საუკეთესოდ დაასახელეს. გამოკითხვაში ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები მონაწილეობდნენ და მალუდამ კოლეგებს მადლობა გადაუხადა დაფასებისთვის. 26 წლის ფრანგმა ტულუზელ იოჰან ელმანდერს და ლანსელ სეიდუ კეიტას აჯობა.

საუკეთესო ახალგაზრდად კი „მარსელის“ სამი ნასრი აღიარეს.

# რუსი მზვერავი არგენტინაში

**მოსკოვის** „ლოკომოტივი“ არგენტინელი ფორვარდების შეძენას აპირებს. კლუბის სელექციონერები მაღალი კლასის თავდამსხმელებს ეძებენ და სამხრეთ ამერიკაში როდრიგო პალასიოს და მაურო ზარატეს მიაგნეს. „ლოკოს“ სკაუტმა ევგენი ხარლაჩოვმა ორი კვირა გაატარა არგენტინაში და ამ ბიჭების თამაშს აკვირდებოდა. 25 წლის პალასიო „ბოკა ხუნიორსშია“, 20 წლის ზარატე კი „ველეს სარსფილდში“. ხარლაჩოვმა ვიდეომასალა ჩაიტანა მოსკოვში და კლუბის შეფები გაარკვევენ, ღირს თუ არა ერთ-ერთი არგენტინელის ყიდვა.

ზამთარში „ბარსელონას“ პალასიოს სანაცვლოდ 24 მილიონი ევრო სთხოვეს, ზარატეს კი მადრიდის „რეალი“ ეპატიჟება.

# ტოტენჰემმა ოთხი ჩაიფიქრა

**„ტოტენჰემი“** ზაფხულში ოთხი ფეხბურთელის ყიდვას აპირებს. „სანდი მირორის“ ცნობით, „მამლები“ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლებენ და შემადგენლობის გაძლიერებას ეშურებიან. „ტოტენჰემის“ სასურველი ფეხბურთელები არიან: უიგანელი მცველი ლეიტონ ბეინსი, ბლექბერნელი ნახევარმცველი მორტენ გამსტ პედერსენი, ვესტჰემელი ნაიჯელ რეო-კოკერი და ჩარლტონელი ფორვარდი დარენ ბენტი.

„ტოტენჰემიდან“ კი ალბათ ჯერმენ დეფოს, მიდოსა და ჰორამ გალის გაუშვებენ.

**ვაჟა ხუციშვილი**



# რამდენი დაჯგუფებაა ბარსელონაში
## უთავო მხედრები: პუიოლი, ეტოო, რონალდინიო და... რაიკარდი

**ისინი** ერთმანეთს არც მოსაკლებად იმეტებენ და არც ჯადოთილისმებს უკეთებენ წასახდენად. მაგრამ ცხადია, რომ იდეალური ურთიერთობისგან შორს არიან. „ბარსელონურ“ შიდა ბანაკებზე მოგახსენებთ...

ესპანური მედია აცხადებს, რომ კატალონიური გუნდი ოთხ ჯგუფადაა დაყოფილი. თითოეულ დაჯგუფებას თავისი ლიდერი ჰყავს და, ერთი შეხედვით, ურღვევ გრანდს, რომლის დევიზია „ბარსა უფრო მეტია, ვიდრე გუნდი“, ფარდის მიღმა მძაფრი ინტრიგები აწუხებს...

ყველაფერი რამდენიმე თვის წინ დაიწყო. მაშინ ტრავმისგან გამოჯანმრთელებული სამუელ ეტოო ფრანკ რაიკარდს აუჯანყდა, მოედანზე სათამაშოდ მცირე ხნით გავყავარო და თანაგუნდელებიც გამოლანძღა. ეტოომ თქვა, „ბარსელონა“ ბანაკებადაა დაყოფილიო...

დრო რომ გავიდა, აფრიკელმა მოიბოდიშა, ნერვები ველარ მოთოკე და რაიკარდის, რონალდინიოს და სხვების მისამართით უსაფუძვლო ბრალდებები წამომცდაო. კატალონიურმა მედიამაც სიხარულით აღნიშნა, „კამპ ნოუზე“ ისევ მშვიდობააო, თუმცა...

მაშინ, როცა „ბარსელონას“ ერთიანობა ყველაზე მეტად სჭირდება და გუნდი გააფთრებულ საჩემპიონო მარათონშია ჩაბმული, გაზეთები კვლავ „განსხვავებულ პარტიებზე“ და შიდა, სახიფათო დინებებზე ალაპარაკდნენ...

მოკლედ, ჯგუფი პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი — „კატალონიელები და კანტერანოები („ბარსას“ სკოლის აღზრდილები)“. ამათ გუნდში პირველი სიტყვა ეკუთვნით, ხოლო მათი მეთაური „ბარსელონას“ კაპიტანი კარლეს პუიოლია. დაჯგუფების სხვა გამორჩეული წევრები ვიქტორ ვალდესი, ჩავი, ანდრეს ინიესტა, ხორკერა და ოლეგერი არიან.

მნიშვნელობით მეორე დაჯგუფება — „ბრაზილიელები“. აქ ყველა ბრაზილიელს მოუყრია თავი და არგენტინელი ლეო მესი და ისლანდიელი ეიდურ გუდიონსენიც „იდეურად“ მათთან არიან. თქმა არ უნდა, ოკეანისგაღმელთა არმიის მეთაური რონალდინიოა.

შემდეგ მოდიან „სამუელ ეტოო და მეგობრები“. აფრიკელის ჯარში „გენერლებად“ ფრანგები, ლუდოვიკ ჟიული და ლილიან ტურამი არიან.

და ბოლოს — „ხალხი, რომელიც მიდის“. თავისთავად ცხადია, ამ ჯგუფის წევრთა ვინაობას გაზეთები არ ასახელებენ, მომავალი სეზონის დაწყებამდე საკმაო დროა და, ვინ იცის, რა მოხდება. თუმცა „წამსვლელთა“ არსებობის ფაქტი ჯიუტია და ისინი თავისებურ, განცალკევებულ კასტას ქმნიან...

იცით, ვინ არის „წამსვლელთა“ ლიდერი? „ბარსელონას“ მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი...

**ლადო ხომერიკი**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## პოლ გესქოინი
### ნახევარმცველი

დაიბადა 1967 წლის 27 მაისს გეტიშიდში

1985-88 წლები — „ნიუკასლი“ (107 მატჩი, 25 გოლი),
1988-92 წლები — „ტოტენჰემი“ (112 მატჩი, 33 გოლი),
1992-95 წლები — „ლაციო“ (47 მატჩი, 6 გოლი),
1995-98 წლები — „რეინჯერსი“ (104 მატჩი, 39 გოლი),
1998-2000 წლები — „მიდლსბრო“ (48 მატჩი, 4 გოლი),
2000-02 წლები — „ევერტონი“ (38 მატჩი, 1 გოლი),
2002 წელი — „ბარნლი“ (6 მატჩი, 0 გოლი),
2003 წელი — „განსუ ტიამა“ (4 მატჩი, 2 გოლი),
2004-05 წლები — „ბოსტონი“ (6 მატჩი, 1 გოლი)
1988-98 წლებში თამაშობდა ინგლისის ნაკრებში (57 მატჩი, 10 გოლი)







## BMW X5 4.8i SE

გამოშვების თარიღი: 2006 წელი
სიგრძე: 4,854 მეტრი
სიგანე: 2,197 მეტრი
სიმაღლე: 1,766 მეტრი
წონა: 2 245 კგ
ცილინდრი: 8
ძრავის კუბატურა: 4,8
ავტომატური გადაცემათა კოლოფი
სიჩქარე: 240 კმ/სთ
100 კმ/სთ-ს ავითარებს 6,5 წამში
ფასი: 50 000 ევრო





AFP



AFP

# რომარის! 1000 გოლი მსოფლიოს

**როგორც იქნა,** გაიტანა ამ კაცმა თავისი მეათასე გოლი. ლეგენდარულმა რომარიომ რიოს „სან ჟანუარიოს“ არენაზე „სპორტ რესიფეს“ პენალტით გაუტანა და სანუკვარი ოცნება რეალობად აქცია — ახლა „რომი“ პელეს შემდეგ მეორე კაცია, „ათასიან“ ზღვარს რომ მიაღწია.

დუ ნასიმენტოს ანგარიშზე პროფესიონალურ კარიერაში „სულ“ 1282 გოლია, თავისი მეათასე კი პელემ 1969 წელს „მარაკანაზე“ შეაგდო, სხვათა შორის, მანაც პენალტით. ხოლო რომარიომ „რესიფეს“ 46-ე წუთზე გაუტანა და... ხალხიც გადარია. „ვასკო და გამას“ „სან ჟანუარიო“ მხიარულ საგიჟეთს ჰგავდა, გულშემატკივრები მოედანზე შეცვივდნენ და მატჩიც დროებით შეწყდა...

რომარიო ინჩასთა ტალღამ ხელში აიტაცა. ცრემლმორეულ დიდ კაცს ხელები ზეცისკენ აღემართა და ღმერთს და გულშემატკივრებს მადლობას უძღვნიდა თანადგომისთვის.

ექსბარსელონელმა ლეგენდამ მეათასე გოლის მომტანი ბურთი თავის შვილს რომარინიოს აჩუქა, ხოლო თერთმეტნომრიანი მაისურა დედას.

რომარიოს „ვასკოს“ პრეზიდენტმა ეურიკო მირანდამ ახალი, ათასნომრიანი მაისურა გადააცვა და 41 წლის ვარსკვლავმაც მოედანს საპატიო წრე დაარტყა...

„სან ჟანუარიოზე“ კი სახელდახელო პრესკონფერენცია მოეწყო, სადაც ბრაზილიელმა განაცხადა: „უკვე ძალიან დიდი ხანია, ფეხბურთს ვთამაშობ. ზოგი მეუბნებოდა, რომ დასვენების დრო მოვიდა, სხვები მირჩევდნენ, კარიერა გამეგრძელებინა... ალბათ ისევ ფეხბურთში დავრჩები... თუმცა მომიწევს იმ აზრთან შეგუება, რომ ადრე თუ გვიან ბუცები „ლურსმანზე უნდა ჩამოვკიდო“. მეათასე გოლი გავიტანე, მაგრამ ახლა სხვა მიზანს დავისახავ. მადლობა ყველას, ვინც მხარში მედგა და მამხნევებდა“.

შეგახსენებთ, რომ „რომის“ 999-ე გოლის გატანის შემდეგ მეათასეს მიღწევა საკმაოდ შეაგვიანდა. ამ ლოდინში რომარიოს „საყვარელმა“ პელემაც თქვა, ეგ კაცი ახლა 41 წლისაა, მე კი ჩემი მეათასე გოლი 29 წლის ასაკში შევაგდეო.

მოკლედ, ბევრი რამ მოხდა სანატრელ ათასამდე, თუმცა დღეს რომარიო უბედნიერესი კაცი გახლავთ...

„სან ჟანუარიოზე“ კი ფიესტის შემდეგ ის მატჩი განახლდა და „ვასკო და გამამ“ 3:1 მოიგო.

**ლადო ხომერიკი**

## ვიდიჩი ჟირკოვს ყიდულობს

**ცსკა-ს** ნახევარმცველ იური ჟირკოვით „მანჩესტერი“ დაინტერესდა. რუსული მედიის მტკიცებით, პრემიერლიგური კლუბი 23 წლის ფეხბურთელს უკვე დიდი ხანია, აკვირდება. მანჩესტერელმა სკაუტებმა ჟირკოვის თამაში ჩემპიონთა ლიგაში და უეფას თასზე ნახეს. მოსკოვის „სპარტაკის“ ყოფილმა მცველმა ნემანია ვიდიჩმა კი, რომელიც ახლა ალექს ფერგიუსონის გუნდშია, მწვრთნელს ჟირკოვი უქო და ცსკა-ც „მანჩესტერისგან“ წინადადებას ელის.

## ჟოს ბავშვობა გაახსენდა

**10 მილიონი** ევრო მოითხოვა მოსკოვის ცსკა-მ ჟოს სანაცვლოდ. 19 წლის ბრაზილიელი ფორვარდის ყიდვა რამდენიმე ევროპულ კლუბს უნდა. მიუხედავად იმისა, რომ ცსკა-ს ჩემპიონთა ლიგაში თამაში ელის, ჟოს შეელევა, თუ კარგ ფულს გადაუხდიან.

წელიწადნახევრის წინ მოსკოველებმა ფეხბურთელი „კორინთიანსიდან“ ოთხ მილიონ დოლარად შეიძინეს და პირველივე სეზონში გუნდის მთავარმეგოლე გახდა. ჟოს მსურველთა სიაში არიან „ბენფიკა“ და „პორტუ“, მაგრამ ფორვარდს გული პრიმერადივიზიონისკენ მიუწევს, ბავშვობიდან ესპანეთში თამაშზე ვოცნებობდიო. პრიმერადან კი მისით „სევილია“ და „ვალენსია“ დაინტერესდნენ.

სევილიელებმა უკვე გაუგზავნეს ფაქსი ცსკა-ს და მოლაპარაკება შესთავაზეს.

## ალვეშის ვიზა

**„მანჩესტერი“** ფორვარდის ძიებაში „ჰერენვენის“ ალფონსო ალვეშს მიადგა, მაგრამ ბრიტანეთში სამუშაო ვიზის მიღება ბრაზილიელს გაუჭირდება — მას ნაკრებში ჯერ არ უთამაშია და კარლოს დუნგამ პირველად ახლა გამოიძახა, ინგლისთან ამხანაგური მატჩისთვის.

ამ გაზაფხულზე ალვეშს „ჩელსის“ აკვირდებოდა, თუმც ჩელსელთა სკაუტმა პიტ დე ფისერმა თქვა, პრემიერლიგაში თამაში ძნელია და საეჭვოა, ბრაზილიელმა იმდენივე გაიტანოს ინგლისში, რამდენიც ჰოლანდიაში მოახერხაო.

## თავისუფალი ბენ ჰაიმი

**„ჩელსი“** ტალ ბენ ჰაიმს ეპატიჟება, რომლის გადაბირებას „ნიუკასლიც“ ცდილობს — წერს „დეილი სტარი“. ბენ ჰაიმი „ბოლტონის“ მცველია და ლონდონური კლუბი მის შეძენას ზამთარშიც აპირებდა, მაგრამ მაშინ 3 მილიონი გირვანქა „ჩელსის“ ეძვირა. ახლა ბოლტონელი თავისუფალი აგენტია, რადგან კონტრაქტი დაუმთავრდა და არჩევანში თავისუფალია. იგი „ბოლტონში“ კვირაში რვა ათას გირვანქას იღებდა, „ჩელსი“ კი 50 ათასს სთავაზობს. საეჭვოა, რომ „ნიუკასლი“ „ჩელსის“ ფულში გაეჯიბროს და ბენ ჰაიმი გადაიბიროს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბოლონიამ ბოლი აუშვა: ჩაწყობები ისევ არის!

**იტალიური** „ბოლონიას“ ხელმძღვანელობა და, კერძოდ, პრეზიდენტი ალფრედო კაცოლა ნეაპოლის პროკურატურას სთხოვს, გამოძიება გააფართოვოს და სერია B-შიც ჩაიხედოს. მიზეზი ცუდი მსაჯობაა, რამაც „ბოლონია“, უფრო შორს რომ აღარ წავიდეთ, ზედიზედ ორი ტურია, დააზარალა.

38-ე ტურში „ბოლონია“ „იუვენტუსთან“ 1:3 კი დამარცხდა, მაგრამ ტურინელებმა მეორე გოლი მატჩის მიწურულს საკამათო პენალტით გაიტანეს, რასაც მესამეც მოჰყვა. ამ უქმეებზე კი „როსობლუ“ შინ „ბრეშასთან“ 0:1 დამარცხდა და ორჯერ არ დაუდეს პენალტი, რის გამოც კაცოლა თამაშის ჩაშლას აპირებდა. იგი ტრიბუნებიდან მინდორზე ჩავიდა და შეგირდებს გასახდელისკენ მიუთითა. თუმცა რამდენიმეწუთიანი მოლაპარაკებისა და აურზაურის შემდეგ ვითარება ჩაწყნარდა და ბოლონიელები მინდორზე დაბრუნდნენ.

„მინდა, ლეგა კალჩოდან გამოვიდე, რადგან აღარ მსურს, ასეთი საფეხბურთო ოჯახის წევრი ვიყო. ფაქტია, რომ მსაჯებს ვიღაც კვლავ აკონტროლებს, არ ვიცი, ვინ. ნეაპოლის პროკურატურამ კალჩოპოლის გამოძიებაში ეს სეზონიც უნდა ჩართოს“ — თქვა კაცოლამ.

„ბოლონიას“ პრეზიდენტის აზრით, ვიღაცები ცდილობენ, „იუვე“, „ჯენოა“ და „ნაპოლი“ უპლეიოფოდ გადაიყვანონ სერია A-ში. საქმე ისაა, რომ სერია B-ს პირველი ორი ადგილი ავტომატურად გადადის უმაღლეს ლიგაში, ხოლო მესამე-მეექვსე გუნდებს შორის პლეი ოფი იმ შემთხვევაში არ გაიმართება, თუ სერია B-ს მესამეადგილოსანს უახლოეს მდევართან 10 ან მეტი ქულა ექნება უპირატესობა.

სერია B-ს დასრულებამდე სამი ტურით ადრე მესამე ადგილზე მყოფი „ნაპოლი“ მეოთხეადგილოსან „რიმინის“ 9 ქულით უსწრებს.

ალფრედო კაცოლა: „კალჩოპოლი არ დასრულებულა, მან, უბრალოდ, სერია B-ში გადაინაცვლა. სისტემა იგივეა და კარგი იქნება, თუ ყველა ფაქტს შევკრებთ და ერთად დავდგებით. იმედია, პროკურატურა ამ სეზონს ყურადღებას მიაქცევს. ბევრის ფინანსური ინტერესია ამ ყველაფერში ჩარეული და, სამწუხაროდ, პრესის დიდი ნაწილიც ხელს უწყობს სისტემას, რომელსაც პლეი ოფების ხილვა არ სურს“.

**გიორგი ძაძაგაძე**

# ქალები კარის ბადეში

**„ზენიტის“** დუბლშემადგენლობის ყოფილი მეკარე, 21 წლის სერგეი კოსოვი დააკავეს და თაღლითობაში სდებენ ბრალს. იგი ინტერნეტით გოგოებს ეცნობოდა, მერე ხვდებოდა და ტკბილი სიტყვით ფულს სძალავდა. მაგალითად, ეუბნებოდა, რომ მილიცია მას ავტომობილს წაართმევდა, თუ დროზე არ გადაიხდიდა ჯარიმას. ლამაზი ბიჭით მოხიბლული ქალებიც ფულს აძლევდნენ, ის კი ქრებოდა. ასე გაება მახეში შეიდი ქველმოქმედი გოგო. სერგეი კოსოვმა 2004-2005 წლებში „ზენიტის“ სარეზერვო გუნდში 13 მატჩი ითამაშა. მისმა ყოფილმა მწვრთნელმა ალექსეი სტრეპეტოვმა კი გაიხსენა, რომ მეკარე მაშინაც სულ ფულს სესხულობდა.

„ძალიან კარგი მონაცემები ჰქონდა — თქვა სტრეპეტოვმა — მისი ყიდვა მოსკოვის „დინამოს“ სურდა და კონტრაქტიც კი გაუფორმა, სერგეიმ კი კონტრაქტი ქეიფით აღნიშნა, დათვრა და ეს რომ „დინამომ“ გაიგო, ხელშეკრულება გაუუქმა. მეც იძულებული ვიყავი, გუნდიდან გამეგდო, რასაც დიდი სკანდალი მოჰყვა. „ზენიტში“ მოსვლის დღიდან ფულს სესხულობდა მწვრთნელისგან, ფეხბურთელებისგან, ექიმისგან, მასაჟისტისგან და ბაზის დამლაგებლისგანაც. თანხას ძირითადად სათამაშო ავტომატებში ფლანგავდა. ერთ დღესაც, ბაზაზე მოვიდა ქალი, რომელმაც გვითხრა, რომ მისმა შვილმა კოსოვს მსუყე თანხა ასესხა და აღარ უბრუნებს. მეტიც, სერგეის გოგოსთვის უთქვამს, მილიციაში მისვლა არ გაბედოო. ჩვენ სერგეის ხელფასიდან დავუქვითეთ ფული და ქალბატონს მივეცით. მეკარემ მომხდარს გაუგებრობა უწოდა და ბოდიშიც მოგვიხადა, მაგრამ მაინც არ გამოსწორდა. მერე ბაზიდან ფეხბურთელების ფულის და ნივთების მოპარვა დაიწყო. ეს ვერ დავუმტკიცეთ და გუნდიდან გავაგდეთ. სერგეი ფინეთში წავიდა სათამაშოდ, სადაც მძიმე ტრავმა მიიღო და კარიერა დაასრულა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ვისი საქმეა ხესთან სექსი?!



**ხვალ** ჩემპიონთა ლიგის ფინალია, დაძაბულობა პიკს აღწევს და გუნდებს შორის სიტყვიერი ომიც გრძელდება. პრესაში იწერება პროგნოზები, ვარაუდები „მილანისა" და „ლივერპულის" ტაქტიკურ მონახაზებზე და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისეა, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე.

„მილანს" ორი წლის წინანდელი მარცხისთვის შურისძიება სწადია და ფავორიტადაც ითვლება: სპეციალისტების უმეტესობა და საბუქმეიკერო კანტორები მცირე უპირატესობას „როსონერის" აძლევენ. თუმცა „ლივერპულს" ეს არ აღელვებს — რაფაელ ბენიტესმა და მისმა შეგირდებმა ერთხელ უკვე გამოაცალეს ჩემპიონთა თასი „შავწითლებს" და ახლაც იგივეს გაკეთებას ეცდებიან.

როგორც გაირკვა, უეფამ ლიუბოშ მიხელსა და ჰერბერტ ფანდელს შორის არჩევანი ფანდელზე შეაჩერა და ფინალს გერმანელი უმსაჯებს. აღსანიშნავია, რომ 43 წლის არბიტრმა „მილანის" ხუთ მატჩში იმსაჯა და „როსონერიმ" ხუთივე მოიგო. „ლივერპულს" კი ფანდელის ნამსაჯ არც ერთ თამაშში არ უმარჯვია.

ათენში ფინალის უსაფრთხოდ ჩატარებაზე 7500-ზე მეტი პოლიციელი და ათასზე მეტი უსაფრთხოების თანამშრომელი იზრუნებს. საბერძნეთის დედაქალაქში „მილან"-„ლივერპულის" 50 ათასამდე ქომაგს ელიან, რომელთა დიდი ნაწილიც უბილეთო იქნება.

სვენ გორან ერიკსონს ინგლისშიც უმუშავია და იტალიაშიც, ორივე ქვეყნის ფეხბურთს კარგად იცნობს და თავის დროზე „მილანის" რამდენიმე ფეხბურთელი და მწვრთნელი კარლო ანჩელოტიც კი გაუწვრთნია. „ლივერპულის" მოთამაშეებთან კი ინგლისის ნაკრების თავკაცობისას ჰქონდა შეხება...

„მე ასეთ ფინალს არ ველოდი. ალბათ დამეთანხმებით, რომ ბევრი „მანჩესტერისა" და „ჩელსის" დაპირისპირებას ელოდა. თუმცა „მილანმა" ბრწყინვალედ ითამაშა და სრულიად დამსახურებულად გავიდა ფინალში. რაც შეეხება „ჩელსის", იგი კიდევ ერთხელ შეეჯახა „ენფილდზე" თამაშის პრობლემას. „ლივერპულს" მართლაც უნიკალური სტადიონი აქვს და უნიკალური ფანები ჰყავს. ძალიან მიხარია „მილანის" და ჩემი ყოფილი შეგირდების, ალესანდრო ნესტას, ჯუზეპე ფავალის, კლარენს ზეედორფისა და კარლო ანჩელოტის წარმატება. ანჩელოტი ბევრი შრომის და ჭკვიანურად თამაშის მოყვარული მწვრთნელია. რაც შეეხება ბენიტესს, მან „ლივერპული" უაღრესად ორგანიზებულ გუნდად აქცია. სხვადასხვა მიზეზთა გამო მას აკრიტიკებენ, თუმცა რა უნდა უთხრან კაცს, რომელმაც სამ წელიწადში ორჯერ გაიყვანა გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში?! ძალიან საინტერესო მატჩი გველის: „მილანის" ტექნიკა „ლივერპულის" აგრესიის წინააღმდეგ. ფავორიტი „მილანია" — განაცხადა შვედმა.

ერიკსონს აზრი „ლივერპულის" კაპიტან სტივენ ჯერარდზეც ჰკითხეს: „იგი ინგლისის სიმბოლო და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესოა. ბრწყინვალე ხედვა აქვს, შეუძლია შექმნა, ჩაშლა და გოლების გატანა".

კარლო ანჩელოტი: „მიუხედავად ყველაფრისა, ასეთ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა შევძელით და ეს დიდი მიღწევაა. ძალიან გახარებულნი ვართ. „ლივერპულს" ბევრი ფეხბურთელი ჰყავს, რომლებიც შორიდან ბრწყინვალედ ურტყამენ, ამიტომ მათ სივრცე არ უნდა მივცეთ და ორი წლის წინანდელი შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ. ვეცდებით, მეტოქეს ჩვენი სტილი მოვახვიოთ თავზე, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იქნება".

ანჩელოტის ერთ-ერთი მთავარი გადაწყვეტილება ახლა თავდასხმაში აქვს მისაღები — ვინ დააყენოს ძირითად შემადგენლობაში: არცთუ კარგ ფორმაში მყოფი, მაგრამ ახალგაზრდა ალბერტო ჯილარდინო თუ გამოცდილი ვეტერანი ფილიპო ინძაგი. კარლიტო საბოლოოდ ალბათ მაინც ჯილარდინოს აირჩევს და „სუპერპიპოს" მოგვიანებით ჩართავს თამაშში.

„ფაქტობრივად, ყველაფერი უკვე მოფიქრებული მაქვს. ახლა მთავარია, პაოლო მალდინი სრულ მზადყოფნაში იყოს და ვის დავაყენებ თავდასხმაში, ამასაც გადავწყვეტ. ინძაგი უფრო სასარგებლო და ეფექტური შეცვლაზე იქნება? შესაძლოა. იგი უფრო გამოკვეთილი ფორვარდია და დამგვირგვინებელ მომენტში ბრწყინვალედ თამაშობს, ჯილარდინოს კი ბურთის დაჭერა და უკან ჩასვლაც შეუძლია"— დასძინა ანჩელოტიმ.

„მილანის" პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი: „ოთხშაბათისთვის მზად ვიქნებით. თავს უფლებას ვერ მივცემთ, ტიტული კვლავ ხელიდან გამოგვგლიჯონ. რაც შეეხება თავდასხმას, ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ძირითადში ჯილარდინოს დავაყენებდი, ხოლო, როცა მერსისაიდელები ცოტა დაიღლებიან, ინძაგის მერე შევუშვებდი".

„მე არ ვარ ის მწვრთნელი, რომელიც ზეწოლაზე და კრიტიკაზე ნერვიულობს, რადგან მოგება მიყვარს. ხოლო თუ ტიტულების მოპოვება გინდა, აუცილებლად ზეწოლის ქვეშ იქნები და ამას უნდა შეეგუო. ყოველთვის მოგებაზე ვფიქრობ. ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და ბიჭებიც შემართულნი არიან. ორი წლის წინ 3:0-ს ვაგებდით, თან ისეთ ბრწყინვალე გუნდთან, როგორიც „მილანია", მაგრამ საბოლოოდ თასი ჩვენ დაგვრჩა. იმ მატჩის შემობრუნება წარმოუდგენლად ძნელი გახლდათ, თუმცა ჩვენ ეს შევძელით და იმედია, ამჯერადაც მოვიგებთ" — ამბობს რაფაელ ბენიტესი.

„ლივერპულისა" და ბენიტესის სათამაშო სტილს ბევრი აკრიტიკებს, ესპანელი სპეციალისტი მერსისაიდელებს ზედმეტად დაცვით და მოსაწყენ ფეხბურთს ათამაშებსო. კრიტიკოსთა შორის არის ცნობილი არგენტინელი მოთამაშე და მადრიდის „რეალის" ექსდირექტორი ხორხე ვალდანოც, რომელმაც განაცხადა — ეთამაშო დაცვითი სტილის გუნდს, იგივეა, რაც ხესთან სექსი გქონდესო.

ბენიტესი: „ვალდანოს 20 წელია, ვიცნობ. იგი ლაპარაკის მეტს არაფერს აკეთებს. ფეხბურთი შეიძლება ბევრი კარგი სქემით ითამაშო. ზოგი ბურთის კონტროლით ამჯობინებს ფონს გასვლას, ზოგიც პოზიციურად მკაცრი თამაშით. შესაბამისად, ზოგს უფრო შემტევი სტილი აქვს, ზოგსაც — დაცვითი. ფეხბურთი სპორტია, რომელშიც მთავარი მოგებაა. კარგი, ლამაზი ფეხბურთი ჟურნალისტებისა და მათი მოგონილია, ვინც ამ სპორტზე, უბრალოდ, ლაპარაკობს. რას ნიშნავს კარგი ფეხბურთი? ჩვენ ვატარებთ კარგ მატჩებს და ვიგებთ, ეს არის მთავარი!"

ცოტა არ იყოს, კომიკური ვითარებაა — იტალიური და ინგლისური კლუბების ფინალის წინ ამბობენ, ინგლისური კლუბი ზედმეტად დაცვითია, ხოლო იტალიური უფრო შემტევიაო.

„ასეთი დისკუსიები და შედარებები სრულიად უსაფუძვლო და უაზროა. ამგვარი კომენტარები არშემდგარი ფილოსოფოსებისგან მოდის. მე ვზივარ ჩემს სკამზე და ყოველ კვირას მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ვიღებ, რათა გუნდს მაქსიმალური წარმატება მოვუტანო. ეს არის ჩემი საქმე. ჩვენ ვთამაშობთ კარგად და ვაღწევთ შედეგს, ანუ სალაპარაკო არაფერია. რაც შეეხება ფეხბურთელებს, მებრძოლი, შემართული და შრომისმოყვარე მოთამაშეები მიყვარს" — დასძინა ბენიტესმა.

„მილანის" ლიდერ კაკას ძალიან უნდა, კარიერაში პირველად მოიგოს ჩემპიონთა ლიგა, რაც მას „ოქროს ბურთის" მოგების ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად აქცევს.

„მატჩისთვის მშვიდად ვემზადებით და კარგ ფორმაში ვართ. ჩემი აზრით, პიტერ კრაუჩი ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ფეხბურთელია „ლივერპულში" — იგი ბრწყინვალეა საჰაერო ორთაბრძოლებისას და ძალიან სახიფათოა საჯარიმოში. თუმცა თუ კრაუჩის ნაცვლად ვინმე სხვა ითამაშებს, სხვა სანერვიულო გვექნება. ნებისმიერ შემთხვევაში ურთულესი მატჩი გველის, მაგრამ გვჯერა, გამარჯვებას შევძლებთ. ანჩელოტი განსაკუთრებული პიროვნება და მწვრთნელია. მან იცის, როგორ შეკრას ერთ მუშტად თუნდაც ვარსკვლავებით სავსე გუნდი".

„მილანის" წარმატების იმედი აქვს კლუბის ყოფილ შემტევ ნახევარმცველ მანუელ რუი კოშტასაც. პორტუგალიელს „ლივერპულთან" ორი წლის წინანდელი მარცხი ახლაც მწარედ ახსოვს და ექსთანაგუნდელებს წარმატებას სამშობლოდან უსურვებს...

„ყველა, ვისაც გაუმართლა და „მილანის" ოჯახში ყოფნის საშუალება მიეცა, ცხოვრების ბოლომდე მის წევრად გრძნობს თავს. როცა „ბენფიკაში" ვბრუნდებოდი, „სან სიროს" დატოვება ძალიან გამიჭირდა. „მილანი" სულში და სისხლში შემოდის და ვერასდროს მოიშორებ. მათი წარმატება ძალიან მახარებს. მიუხედავად ყველა სირთულისა, ფინალში გასვლა შეძლეს, რაც მხოლოდ ასეთი კლასის და შემართების მქონე გუნდს შეუძლია" — თქვა რუი კოშტამ.

„ლივერპულის" უელსელ ფორვარდ კრეიგ ბელამის კი იმედი აქვს, რომ ფინალში თამაშის საშუალება მიეცემა. ბენიტესმა არჩევანი ბელამის, კრაუჩსა და დირკ კუიტს შორის უნდა გააკეთოს. ესპანელის სიმპათია კუიტისკენ იხრება — ჰოლანდიელი ერთადერთი თავდამსხმელია „ლივერპულში", რომელმაც უკვე მიიღო გარანტია, რომ ახალ სეზონშიც გუნდში იქნება.

„იმის გარანტია, რომ ვითამაშებ, არ მაქვს, მაგრამ, რაც შემეძლება, გავაკეთებ, რათა მწვრთნელს თავი მოვაწონო და ფინალში თამაშის შანსი მომეცეს. ამ მომენტს მთელი ცხოვრება ველოდი. რაც შეეხება ჩემს მომავალს, ამაზე ახლა არ ვფიქრობ. თუ ჩემს კარიერას იცნობთ, გეცოდინებათ, რამდენჯერ ვყოფილვარ სატრანსფერო მითქმამოთქმაში გარეული და ეს არ მაღელვებს" — განაცხადა ბელამიმ.

**გიორგი ქაქაბაძე**

## კო და სითი

**დონეცკის** „მეტალურგის" ყოფილი თავკაცი კო ადრიანსე, შესაძლოა, „მანჩესტერ სიტის" მწვრთნელად დანიშნონ — წერს „სანდი მირორი". მირორელებმა ეს ამბავი ადრიანსეს მეგობრისგან შეიტყვეს. ჰოლანდიელი მწვრთნელი ერთი კვირის წინ გაათავისუფლეს „მეტალურგიდან" და უმალ მიიღო წინადადება „ფეიენოორდისგან", ახლა კი „სიტისგან". ადრიანსემ მოსაფიქრებლად ხუთი დღე ითხოვა. „სიტის" თავკაცობას ფილიქს მაგათს და კლაუდიო რანიერისაც სთავაზობენ.

## რივალდო გალმა

**„ოლიმპიაკოსიდან"** წასულ რივალდოს „ლოს ანჯელეს გალაქსი" ეპატიჟება. ეს ტრანსფერი თუ მოგვარდა, ბრაზილიელი დევიდ ბექჰემის და აბელ შავიერის თანაგუნდელი გახდება. ამავე გუნდში თამაშობს აშშ-ს ნაკრების ფეხბურთელი ლანდონ დონოვანიც.

## შევას ამერიკა

**„სპორტ** ილუსტრეიტედთან" ინტერვიუში ანდრეი შევჩენკომ თქვა, რომ კარიერის ბოლოს სიამოვნებით ითამაშებდა ამერიკის მეიჯორ ლიგაში...

„ფეხბურთის დონე იქ ნელ-ნელა იზრდება და ჩემი გამოცდილება ძალიან წაადგებათ. შარშან მეიჯორ ლიგის ვარსკვლავების ნაკრებს ვეთამაშე და მათი ფეხბურთი მომეწონა".

## აგვისტო, ბარსა, აზია

**5 აგვისტოს** პეკინში „ბარსელონა" ამხანაგურ მატჩს გამართავს „ბეიდჟინ გუოანთან". კატალონიელები ჩინეთში ყველა ვარსკვლავს ჩაიყვანენ და მათ შორის რონალდინიოს. ეს იქნება „ბარსას" აზიური ტურნეს პირველი შეხვედრა. შემდეგ ისინი იაპონიაში და მაკაოში გადავლენ.

„ბეიდჟინ გუოანთან" თამაშის ორგანიზატორებმა 35-ათასიან სტადიონს ექვს ათასი ადგილიც დაუმატეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

### აშშ

MLS. VIII ტური

ჩივასი 1:1 ლოს ანჯელესი
დალასი 2:1 სოლტ ლეიკი

### ბრაზილია

სერია A. II ტური

გრემიო — ფლუმინენსე 2:0; ნაუტიკო — სან პაულუ 1:0; ვასკუ და გამა — სპორტ რესიფე 3:1

### მექსიკა

კლაუსურა. პლეი ოფი
1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები

გვადალახარა 0:1 ამერიკა (0:1)
პაჩუკა 1:1 კრუზ ასული (3:1)

### ჩილე

პრიმერადივიზიონი
XVII ტური

დეპ. კონსეფსიონი — ევერტონი 1:1; ატლეტიკო — კოკიმბო 2:1; კობრელოა — პალესტინო 3:2; მელიპილია — პუერტო მონტი 2:1; აუდაქს იტალიანო — კოლო კოლო 1:0; უაჩიპატო — უნიონ ესპანიოლა 2:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | პოლონეთი, 22 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 129 | არკა-ლეხი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 21:00 | 130 | ბელხატოვი-ვისლა | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| 21:00 | 131 | კრაკოვია-ლეჩნა | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 21:00 | 132 | გურნიკი-პლოცკი | 2.10 | 3.10 | 3.15 | 1.25 | 1.25 | 1.56 |
| 21:00 | 133 | გროცლინი-პოგონი | 1.25 | 4.70 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.19 |
| 21:00 | 134 | ლოძი-კორონა | 2.95 | 3.10 | 2.20 | 1.51 | 1.26 | 1.28 |
| 21:00 | 135 | ოდრა-ლეგია | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 21:00 | 136 | ზაგლებე-ვიძევი | 1.20 | 5.20 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.53 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა, 22 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 203 | ბრომაპოიკარნა-ჰელსინგბორგი | 3.70 | 3.40 | 1.90 | 1.77 | 1.25 | 1.21 |
| 21:00 | 204 | ელფსბორგი-გიოტებორგი | 2.05 | 3.20 | 3.35 | 1.24 | 1.27 | 1.63 |
| | | ფინეთი, 23 მაისი | | | | | | |
| 19:30 | 225 | ოულუ-ტურკუ | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 19:30 | 226 | ჰაკ-ტამპერე | 2.35 | 3.10 | 2.70 | 1.33 | 1.25 | 1.44 |
| 19:30 | 227 | იარო-ჰონკა | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |
| | | არგენტინა, 23 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 260 | ლანუსი-კოლმესი | 1.50 | 3.60 | 5.80 | 1.05 | 1.19 | 2.22 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჩემპიონთა ლიგა, 23 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 291 | მილანი-ლივერპული | 2.30 | 3.00 | 3.20 | 1.30 | 1.33 | 1.54 |
| | | იაპონია. თასი, 23 მაისი | | | | | | |
| 14:00 | 302 | ნიიგატა-ნაგოია | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| 14:00 | 303 | კაშივა-იოკოჰამა ფმ | 1.85 | 3.10 | 3.50 | 1.15 | 1.21 | 1.64 |
| 14:00 | 304 | კოფუ-კაშიმა | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 14:00 | 305 | ოიტა-ივატა | 2.15 | 3.10 | 2.90 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| 14:00 | 306 | ჰიროსიმა-იჩიჰარა | 1.82 | 3.20 | 3.70 | 1.16 | 1.21 | 1.71 |
| 14:00 | 307 | შიმიცუ-ომია | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 14:00 | 308 | კობე-გამბა | 3.50 | 3.30 | 1.80 | 1.69 | 1.18 | 1.16 |
| 14:00 | 309 | იოკოჰამა ფკ-ტოკიო | 2.25 | 3.10 | 2.85 | 1.30 | 1.25 | 1.48 |
| | | შვედეთი. თასი, 23 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 297 | ისტერსი-იორებრო | 2.75 | 3.20 | 2.30 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| | | ლიბერტადორესის თასი, 22 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 318 | ნაციონალი-კუკუტა | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 23 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 319 | გრემიო-დეფენსორი | 1.32 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.12 | 2.73 |
| 23:45 | 320 | სანტოსი-ამერიკა | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| | | კალათბურთი. იტალია, 22 მაისი | | | | | | |
| 22:30 | 321 | სიენა-კანტუ | 1.05 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 22:30 | 322 | რომა-ნაპოლი | 1.25 | 12.00 | 3.80 | 1.13 | 1.00 | 2.88 |
| 22:30 | 323 | მილანი-ვარეზე | 1.22 | 12.00 | 4.10 | 1.10 | 1.00 | 3.05 |
| 22:30 | 324 | ვ ბოლონია-ბიელა | 1.17 | 12.00 | 4.50 | 1.06 | 1.00 | 3.27 |
| | | ჩოგბურთი. კაცები. პორტშახი, 22 მაისი | | | | | | |
| 13:00 | 409 | დავიდენკო-რამირეს იდალგო | 1.12 | 4.80 | | | | |
| 13:00 | 410 | ნ ლაპენტი-ფერერო | 1.45 | 2.30 | | | | |
| 13:00 | 411 | მონაკო-მელცერი | 1.80 | 1.80 | | | | |
| 13:00 | 412 | ხიუიტი-როიტმანი | 1.20 | 3.50 | | | | |
| | | ჩოგბურთი. ქალები. სტამბული, 22 მაისი | | | | | | |
| 13:00 | 419 | გრონეფელდი-კასტანო | 1.55 | 2.10 | | | | |
| 13:00 | 420 | კინგი-ხენოგლუ | 1.08 | 5.50 | | | | |
| 13:00 | 421 | შნიდერი-ჩან იუ ჯი | 1.02 | 8.00 | | | | |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10203 | ბრომაპოიკარნა-ჰელსინგბორგი | 4.20 | 2.00 | 2.35 | 1.35 | 1.50 | 1.08 |
| 10204 | ელფსბორგი-გიოტებორგი | 2.55 | 2.00 | 3.60 | 1.12 | 1.49 | 1.28 |
| 10291 | მილანი-ლივერპული | 2.70 | 2.00 | 3.50 | 1.14 | 1.52 | 1.27 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11203 | ბრომაპოიკარნა-ჰელსინგბორგი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11204 | ელფსბორგი-გიოტებორგი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11291 | მილანი-ლივერპული | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12203 | ბრომაპოიკარნა-ჰელსინგბორგი | 1.70 | 1.90 |
| 12204 | ელფსბორგი-გიოტებორგი | 1.70 | 1.90 |
| 12291 | მილანი-ლივერპული | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13203 | ბრომაპოიკარნა-ჰელსინგბორგი | 1.90 | 1.70 |
| 13204 | ელფსბორგი-გიოტებორგი | 1.70 | 1.90 |
| 13291 | მილანი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14203 | ბრომაპოიკარნა-ჰელსინგბორგი | 2.20 | 1.70 |
| 14204 | ელფსბორგი-გიოტებორგი | 1.75 | 2.10 |
| 14291 | მილანი-ლივერპული | 1.80 | 2.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15203 | ბრომაპოიკარნა-ჰელსინგბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15204 | ელფსბორგი-გიოტებორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15291 | მილანი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16203 | ბრომაპოიკარნა-ჰელსინგბორგი | 2.45 | 1.40 |
| 16204 | ელფსბორგი-გიოტებორგი | 1.52 | 2.20 |
| 16291 | მილანი-ლივერპული | 1.55 | 2.15 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17203 | ბრომაპოიკარნა-ჰელსინგბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17204 | ელფსბორგი-გიოტებორგი | 1.85 | 1.95 |
| 17291 | მილანი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |

## შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

ჭადრაკი

# ქართველებმა ქიშებით დაიწყეს

ეკატერინბურგში ქალთა საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. გათამაშება პირველად ტარდება და მასში მსოფლიოს 10 საუკეთესო ნაკრები მონაწილეობს. მათ შორისაა ჩვენი გუნდიც, რომელიც ასეთი შემადგენლობით გამოდის: მაია ჩიბურდანიძე, ნინო ხურციძე, ლელა ჯავახიშვილი, სოფიო გვეტაძე და სოფიკო ხუხაშვილი. კაპიტანი ნინო გურიელია, ხოლო მწვრთნელი ზურაბ სტურუა.

შეჯიბრის გახსნას ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვიც დაესწრო და ეს ისტორიული დღე ყველას მიულოცა.

ქართველებმა ტურნირი წარმატებით დაიწყეს, ორივე საწყისი შეხვედრა მოიგეს და მესამე ადგილზე არიან. ჩვენებიდან ყველაზე კარგად ჯავახიშვილი გამოდის, საქართველოს ჩემპიონმა გუნდს ორი ქულა შესძინა.

**ლაშა გეგეჭკორი**

### M-TEL MASTERS-ის ტურნირი

სოფია. ბულგარეთი. 9-20 მაისი

X ტური

| | | |
|---|---|---|
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 1:0 | კრიშნან საშიკირანი (ინდოეთი) |
| ლივიუ-დიტერ ნისიპეანუ (რუმინეთი) | 0,5:0,5 | შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) |
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 0,5:0,5 | გატა კამსკი (აშშ) |



საბოლოო ვითარება

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ვესელინ ტოპალოვი | 5,5 | 4. გატა კამსკი | 5,0 |
| 2. შაჰრიარ მამედიაროვი | 5,0 | 5. კრიშნან საშიკირანი | 5,0 |
| 3. ლივიუ-დიტერ ნისიპეანუ | 5,0 | 6. მაიკლ ადამსი | 4,5 |

# ტოპალოვმა თავი და ადგილი დაიბრუნა

ვესელინ ტოპალოვმა M-Tel Master-ის ტურნირი ზედიზედ მესამედ მოიგო. ბულგარელმა ვარსკვლავმა 5,5 ქულა დააგროვა და მდევრებს ნახევარი ქულით აჯობა. ამ გამარჯვებით მან დაამტკიცა, რომ დიდი მოჭადრაკეა და გადამწყვეტი თამაშების მოგება კვლავაც შეუძლია. შეგახსენებთ, რომ ტოპალოვმა ტურნირი წარუმატებლად დაიწყო, თავიდანვე ორი პარტია წააგო და ბოლო ადგილზეც აღმოჩნდა. მომდევნო ტურებში იგი თანდათან გამოცოცხლდა, მოგებები დაიწყო და საბოლოოდ ყველას გაუსწრო.

„პირველი სამი პარტია საშინლად ჩავატარე, მაგრამ შემდეგ მოვუმატე და მომდევნო სამი მაღალ დონეზე ვითამაშე. საწყის ტურებში ვერ ვიყავი კარგად და თავიც თითქოს სხვა ადგილას მქონდა, მაგრამ ბოლოს ყველაფერი გამოსწორდა, მადაზე მოვედი და თამაშის ხალისიც დამიბრუნდა. ასე რომ, შედეგით კმაყოფილი ვარ“ — განაცხადა ტოპალოვმა.

გადამწყვეტი გამოდგა ბოლო ტური, რომელშიც ბულგარელი ტურნირის ლიდერ კრიშნან საშიკირანს დაუპირისპირდა და ნიმცოვიჩის დაცვით ეთამაშა. პარტია თეთრების უპირატესობით წარიმართა. 37-ე სვლაზე მან ფიგურა შესწირა ინდუსს, დიდი მანევრები ჩაუტარა და 59-ე სვლაზე ქულა აართვა.

პარტია საინტერესო გამოვიდა, თამაშამდე საშიკირანის სუსტი მხარეები შევისწავლე და დებიუტიც ამის მიხედვით განვავითარე. ვფიქრობ, ყველაფერი ზუსტად გავთვალე“ — დასძინა ტოპალოვმა მატჩის შემდეგ

**ლაშა გეგეჭკორი**

# დრო ა!

## რუსთაველმა ევროპისკენ გაიხედა



**ეროვნული ჩემპიონატის ფინალური სერია აქამდეც დამთავრებულა მშრალი ანგარიშით, მაგრამ რუსთავის „აზოტმა“ რომ გასულ კვირაში „ავიამშენი“ დაამარცხა, ასეთი ცალკალათა, ალბათ, აქამდე არ ყოფილა. ქვემოქართლელები ოთხჯერ იყვნენ ფინალში და იმ წაგებული სერიების ჯავრი მთლიანად ახლა ამოიყარეს. დავით უსტიაშვილის დამოძღვრილმა „აზოტმა“ ერთი ამოსუნთქვით დაამარცხა მოქმედი ჩემპიონი „ავიამშენი“ და დამოუკიდებელი ქართული კალათბურთის ისტორიაში მეექვსე გუნდი შეიქნა, ჩემპიონობა რომ მოუპოვებია**

— ყველამ კარგად იცის, როგორ სურდა მთელ რუსთავს ჩემპიონობა — გვითხრა დავით უსტიაშვილმა — „აზოტი“ აქამდე ოთხჯერ იყო ფინალში, მაგრამ... ამის თაობაზე თითქმის ყოველდღე იწერებოდა პრესაში და ალბათ ესეც იყო იმის მიზეზი, რომ ფინალურ სერიაში ყველა აზოტელმა უდიდესი მობილიზებითა და შემართებით ითამაშა.

**— ელოდით, რომ ფინალში ასე იოლად გაიმარჯვებდით?**

— პირადად მე 3:0 მოგება მინდოდა და საბოლოო ჯამში არც გამკვირვებია, მაგრამ სერიის მესამე მატჩში თუ ასე იოლად გავინაღდებდით ჩემპიონობას, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი. ერთ ეპიზოდში ჩვენმა ლიდერობამ 35 ქულას გადააჭარბა, რაც ფინალში მართლაც იშვიათად ხდება ხოლმე. სხვა მხრივ ყველაფერი ლოგიკას დაემორჩილა. „აზოტის“ მოთამაშეები უფრო მომზადებულნი, მოსაგებად შემართულნი იყვნენ და რაც მთავარია, თითოეულმა შეასრულა ჩემი დავალება. როცა ასე კარგად თამაშობ დაცვაში, წაგება გამორიცხულია და ჩვენც დამსახურებულად გავიმარჯვეთ. მოედანზე ყოველ თამაშში მოსაგებად გავდიოდით და მაქსიმუმს ვაკეთებდით. 3:0 მოგება თვითმიზანი არ ყოფილა.

**— „ავიამშენმა“ შარშან მოგიგოთ ფინალი და ამჯერად წარმატების შანსიც არ ჰქონია?**

— „ავიამშენი“ რომ ძალიან გამოცდილია, ამას რა თქმა უნდა, უფრო სწორედ, ის ბიჭები არიან არაერთგზის ჩემპიონები, რომლებიც დღეს ამ გუნდში თამაშობენ. მათ ნახევარფინალში ღირსეულად დაამარცხეს თსუ, 3:0-ს ალბათ ბევრი არც მოელოდა. რომელი ერთი ჩამოვთვალო — ბაბიაშვილი, ხოშტარია, ძმები ბერიშვილები, კიღია, ნიკოლაძე, ბარბაქაძე, როდუმენტა... ყველა ძალიან გამოცდილი და ძლიერი მოთამაშეა, მაგრამ სწორი დაცვის წყალობით მათ ჩვენ გასაქანი არ მივეცით.

**— თქვენ იმ „ვითასა“ და „ბასკოში“ თამაშობდით, რომლებსაც ფინალური სერიები დამაჯერებლად, მშრალი ანგარიშით აქვთ მოგებული. როგორ შეადარებთ იმ და წლევანდელ ფინალებს, რომელი უფრო ნაკლებდაძაბული იყო?**

— არც ერთი ფინალი არ ყოფილა უინტერესო და ნაკლებად დაძაბული. ეს შეიძლება, რიგითმა გულშემატკივარმა თქვას, თორემ აბა ჩვენ გვკითხეთ, ამ თამაშების მონაწილეებს. მერე რა, რომ ამ ბოლო ფინალის მესამე მატჩი დიდი სხვაობით მოვიგეთ, მთლიანობაში სერია იყო დაძაბული და ჩვენც საკმაოდ ვინერვიულეთ. განსაკუთრებით პირველმა ორმა მატჩმა წაგვართვა დიდი ენერგია, ორჯერვე თამაში თითქმის ბოლომდე თანაბრად მიდიოდა.

**— ჩემპიონატი ისე გალიეთ, მხოლოდ ერთხელ წააგეთ და ეს ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია...**

— ჩემპიონატით, რა თქმა უნდა კმაყოფილი ვარ. ერთადერთხელ წავაგეთ, თუმც იყო ისეთი მატჩებიც, სუსტად რომ ჩავატარეთ და საკმაო ვარჯიში დაგვჭირდა ხარვეზების გამოსასწორებლად. რაც მთავარია, ყველაფერი კარგად დასრულდა, რეგულარული მოვიგეთ და პლეი ოფშიც საუკეთესოდ ვითამაშეთ. საერთოდ, მწვრთნელისთვის კმაყოფილების გრძნობა დიდხანს არ უნდა გრძელდებოდეს, მიღწეულზე შეჩერება და განუვითარებლობა რეგრესს ნიშნავს.

**— ჩემპიონტი კარგი, მაგრამ „აზოტმა“ თასზე ვერ იყოჩალა...**

— მაშინ, თებერვალში, ჩვენი გუნდი ჯერ არ იყო თავის პიკზე, თან ისეთი დატვირთული კალენდარი გვქონდა, რომ გადავიღალეთ. მანამდე ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე ვითამაშეთ, ხოლო თასის ჯგუფში ორი საკმაოდ დაძაბული ბრძოლა გადავიტანეთ თსუ-სთან და „დინამოსთან“. „ავიამშენს“ შედარებით მსუბუქი გრაფიკი ჰქონდა. ფინალის წინა დღეს სულაც დაისვენა და გადამწყვეტი მატჩი მოგვიგო. ჩვენ იმ შეხვედრაში 26-ქულიანი ჩამორჩენა გავაბათილეთ, მაგრამ საბოლოოდ ფორტუნამ ზურგი გვაქცია. იმ მატჩის ფირს არაერთხელ ვუყურე და ჩვენი წაგება შემთხვევითობა იყო.

**— განვლილი ჩემპიონატის თამაშის ხარისხზე რას იტყვით?**

— ვერ ვიტყვი, ჩვენთან ევროპული დონის კალათბურთს თამაშობენ-მეთქი. მეტიც, მათ დონემდე ბევრი გვიკლია, თუმც ხარისხში წინსვლა შეინიშნება. კალათბურთი ვითარდება, ეს ბუნებრივი პროცესია, მაგრამ თუ ხელშეწყობა არ იქნა, ჩამორჩენის აღმოფხვრას უფრო დიდი დრო დასჭირდება. მოკლედ რომ ვთქვა, ძირითადი პრობლემა უსახსრობაა. რაც უფრო მეტი შეძლებული გუნდი იქნება, მეტი ლეგიონერი ჩამოვა და ჩვენი ჩემპიონატის დონეც ამაღლდება.

**— „აზოტი“ ფინანსურად ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდია საქართველოში. 2 ლეგიონერიც გყავთ. არ ფიქრობთ, რომ ევროსარბიელზე ქართული კლუბის დაბრუნების დროა?**

— ამაზე იყო საუბარი და „აზოტის“ ხელმძღვანელობამ სურვილიც გამოთქვა, მაგრამ რა როგორ იქნება, ჯერ არაა გადაწყვეტილი. დამთავრდეს ეს სეზონი, ვეთამაშოთ „ავიამშენს“ სუპერთასი და მერე ხელმძღვანელობა ზუსტად გადაწყვეტს, რომელ ტურნირში და რა გუნდით ვითამაშებთ.

**— თქვენ ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელიც ხართ. ჩვენს ჩემპიონატში ახალი სანაკრებო კანდიდატები არ გამოჩნდნენ?**

— „აზოტში“ მოთამაშე ნაკრების წევრებმა კარგად წარმოაჩინეს თავი და დაამტკიცეს, რომ ახლაც მზად არიან ეროვნული გუნდის დასახმარებლად. „ავიამშენისა“ და თსუ-ს მოთამაშეები ადრე იყვნენ ნაკრების კანდიდატები და ვინც დაიმსახურებს, ახლაც მიეცემა შანსი. რაც შეეხება ახალგაზრდებს — რევაზ დიდიას, მიხეილ ჭოჭუას, მიხეილ ბერიშვილს, გიორგი შერმადინს — მათ ჯერ დაბალ ასაკობრივ ნაკრებში უნდა დაამტკიცონ, რომ ეროვნულისთვის მზად არიან.

**— თქვენი აზრით, ვინ იყო გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშე?**

— ძალიან მიჭირს გამორჩევა. ჩემს გუნდში საქმეს ყველა ერთად აკეთებდა. ხშირად იყო, როცა ქულები და მოხსნები წამყვან მოთამაშეებზე დაახლოებით თანაბრად ნაწილდებოდა, ანაც ერთხელ რომ ერთი გამოიჩენდა თავს, მერე სხვა ყოჩაღობდა. ეს უფრო ჟურნალისტების საქმეა და ალბათ მალე გამოავლენთ საუკეთესოს.

**ირაკლი ბერტაია**

ქართული ბიბლიოთეკა

# PLAYOFFS 2007

20 მაისი

## დასავლეთის ფინალი

**სან ანტონიო 1:0 იუტა**

**სან ანტონიო 108:100 იუტა**

**სან ანტონიო:** პარკერი (21), ფინლი (14), ბოუენი (3), დანკანი (27 ქულა, 10 მოხსნა), ობერტო (14); ჯინობილი (23 ქულა, 10 პასი), ელსონი (6), ჰორი, ბერი, ვონი, უდრიჰი

**იუტა:** უილიამსი (34 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), ფიშერი (6), კირილენკო (7), ბუზერი (20 ქულა, 12 მოხსნა), ოქური (10); ჰარაპრინგი (10), მილსაპი (7), გირიჩეკი (4), არაუხო (2), კოლინზი

# ვის ართმევ ხელს?!

## სლოუნი სიავის არქონამ გააავა

**ახლა**, როცა სტივ ნეშის „ფინიქსი“ დამარცხებული და გზიდან ჩამოცილებულია, „სან ანტონიოს“ „იუტასთან“ სერია ლამის რეგულარული ჩემპიონატის რიგით მატჩად უჩანს. ცხადია, პრაგმატიკოსი გრეგ პოპოვიჩი და მისი შეეიცარიული საათის სიზუსტით მოწიკწიკე გუნდი ისე არ ამჩატდებიან, რომ საქმე დაწყებამდე დამთავრებულად ჩათვალონ, მაგრამ მსუბუქი გამარჯვებით კი დაიწყეს ეს საქმე.

„იუტას“ სან ანტონიოში წინა 17 თამაში წაეგო და ახლა ამ ერთფეროვან სურათს რომ ვერ შეაფერადებდა, ეს უკვე პირველ ტაიმში გამოჩნდა. კარგი მოთამაშეა „იუტას“ ხარივით თავდამსხმელი კარლოს ბუზერი, იმდენ ქულა-მოხსნებს იხვეჭდა და იხვეჭს, რომ წლეულს ყველა ვარსკვლავის მატჩში დაუძახეს, მაგრამ სად მისი და სად ტიმ დანკანის სათამაშო კლასი. ის, რასაც ბუზერი „გოლდენ სტეიტს“ უკეთებდა, სან ანტონიოსთან“ ან გაუვა და ან არა. პირველ ტაიმში კი მას არც არაფერი გაუვიდა და არც გამოუვიდა, უბრალოდ, გასაქანი არ მისცეს „სფურზის“ მეფარეებმა და „ჯაზის“ შეტევებიც აქედანვე შეიზღუდა და შეიკვეცა.

ცოტა დუნედ დაიწყო „სან ანტონიომ,“ მაგრამ სათადარიგოთა სკამიდან მანუ ჯინობილი რომ წამოდგა და ტონი პარკერს შეუწყვილდა, მასპინძლებმა ყველაფერი თავის ადგილზე დაალაგეს. „სან ანტონიო“ მეორე მეოთხედში 19 ქულითაც გაიჭრა და ყველა მიხვდა, რომ პირველი თამაშიც იქ დამთავრდა. მართალია, შემდეგ ბუზერი ამოძრავდა, ხოლო ბოლო მეოთხედში იუტელთა გამთამაშებელმა დერონ უილიამსმა 18 ქულა გააკეთა, მაგრამ ამით ვერაფერი შეცვალა — მასპინძლებმა სტუმრები 7 ქულაზე ახლოს არ გაიკარეს, ასე მშვიდად და უდრტვინველად მიიყვანეს მატჩი სასურველ დასასრულამდე.

„იცით, რამ გადამრია? მეტოქეები ერთმანეთს ხელს ართმევდნენ არა მხოლოდ თამაშის შემდეგ, არამედ მატჩის მსვლელობისასაც კი — იბღვირებოდა „იუტას“ თავკაცი ჯერი სლოუნი ნამატჩევს — რას ნიშნავს ეს? ჩემი გუნდი შეეგუა მარცხს და იმას, რომ მეტოქე მასზე ძლიერია? არ ვიცი, ზაფხულში მათ იქნებ ერთმანეთი სახლებში დაპატიჟონ და სათევზაოდ იარონ ოჯახებით, მაგრამ ახლა ჩემი ბიჭები და ისინი მტრები უნდა იყვნენ და ერთმანეთს ცხოვრებას უმწარებდნენ. ეს სიავე გვაკლდა დღეს და ვეცდები, რომ შემდეგ თამაშში ამით მაინც ვაჯობოთ „სან ანტონიოს“. ჩვენ ჩვენი ბოლომდე უნდა ვცადოთ, ჩვენ უნდა მოვიპოვოთ პატივისცემა.“

**ბოტე ყორშია**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ანამ სტამბოლის კარი შეაღო



**სტამბოლში,** ევროპა-აზიის გასაყარზე სეზონის მეორე სლემტურნირის, „როლან გაროსისწინა“ ერთ-ერთი ბოლო ტურნირი ტარდება. „ისტანბულ კაპის“ საპრიზო ფონდი 200 ათასი დოლარია და იქაურ თიხნარზე მოთამაშეთა სიას თვით რუსი დიდქალი მარია შარაპოვა უდგას სათავეში.

სტამბოლის შეჯიბრის საკვალიფიკაციო ეტაპზე ორი ჩვენებურიც თამაშობდა — ანა ტატიშვილი და სოფო შაფათავა. სოფომ პირველ წრეში მასპინძელ კაგლა ბუიუკაკჩაის 2:6 6:4 6:2 კი მოუგო, მაგრამ შემდეგ ბელარუს ეკატერინა ზენალევიჩთან 0:6 6:3 2:6 დამარცხდა და ძირითად ბადეში ვერ მოხვდა.

სამაგიეროდ, ანამ იყოჩა, სამ მეტოქეს მოუგო და ძირითად ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვა. პირველ წრეში 17 წლის ქართველმა 6:1 6:0 გაანადგურა თურქი ტუგე დოგანი, მერე კი მიყოლებით ორი რუმინელი დაჯაბნა და თანაც, ორივე სამსეტიან პაექრობაში — სორანა კირსტეას 7:6 2:6 6:1 სძლია, ხოლო მიხაელა ბუზარნესკუს 7:6 5:7 7:6 აჯობა.

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7515 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5225 |
| 3. ენდი როდიკი (აშშ) | 2930 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2905 |
| 5. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2810 |
| 6. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 2810 |
| 7. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 2260 |
| 8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2180 |
| 9. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2100 |
| 10. ტომი ჰაასი (გერმანია) | 2095 |
| 11. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 2090 |
| 12. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 2020 |
| 13. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1900 |
| 14. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1725 |
| 15. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1685 |
| 16. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1480 |
| 17. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 1425 |
| 18. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1415 |
| 19. მარკო ბაღდადისი (კვიპროსი) | 1375 |
| 20. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 1355 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 535 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 461 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 377 |
| 4. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 266 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 225 |
| 6. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 214 |
| 7. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 211 |
| 8. ტომი ჰაასი (გერმანია) | 210 |
| 9. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 200 |
| 10. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 198 |
| 11. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 190 |
| 12. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 189 |
| 13. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 176 |
| 14. გილერმო კანასი (არგენტინა) | 173 |
| 15. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 152 |
| 16. კარლოს მოია (ესპანეთი) | 147 |
| 17-18. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 143 |
| 17-18. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 143 |
| 19. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 141 |
| 20. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 124 |

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 4119 |
| 2. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3388 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3032 |
| 4. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 2727 |
| 5. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2702 |
| 6. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1991 |
| 7. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1933 |
| 8. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1906 |
| 9. სერენა უილიამსი (აშშ) | 1880 |
| 10. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1866 |
| 11. დინარა საფინა (რუსეთი) | 1798 |
| 12. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1772 |
| 13. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1769 |
| 14. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1635 |
| 15. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1525 |
| 16. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1483 |
| 17. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1390 |
| 18. ნა ლი (ჩინეთი) | 1281 |
| 19. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1236 |
| 20. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 1000 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 2095 |
| 2. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 1661 |
| 3. სერენა უილიამსი (აშშ) | 1641 |
| 4. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 1520 |
| 5. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1246 |
| 6. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1133 |
| 7. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1096 |
| 8. დინარა საფინა (რუსეთი) | 1071 |
| 9. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1030 |
| 10. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1021 |
| 11. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1015 |
| 12. შაჰარ პირი (ისრაელი) | 922 |
| 13. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 886 |
| 14. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 865 |
| 15. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 851 |
| 16. ნა ლი (ჩინეთი) | 777 |
| 17. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 670 |
| 18. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 664 |
| 19. ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) | 650 |
| 20. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 637 |

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**გუშინ** გამოქვეყნებულ ახალ რეიტინგებში ქართველი ჩოგბურთელებიდან მნიშვნელოვანი ცვლილება მხოლოდ ორმა განიცადა — მანანა შაფაქიძეს ამას წინათ, თურქულ ანთალიაში მოპოვებული ქულები დაემატა და შედეგად, თითქმის ასი ადგილით წინ წაიწია, ხოლო თეონა ცერცვაძემ პირიქით, ერთბაშად 166 პოზიცია დაკარგა.

დანარჩენები, ფაქტობრივად, ისევ იქ დარჩნენ, სადაც იყვნენ. სულ კი სარეიტინგო სიებში, ქართველები, ძველებურად სამი კაცითა და თერთმეტი ქალით არიან წარმოდგენილნი.

**კაცები**

| | | |
|---|---|---|
| 201(-1) | ირაკლი ლაბაძე | 202 |
| 469(-3) | ლადო ჩიხლაძე | 60 |
| 1342(-11) | ნოდარ ითონიშვილი | 2 |

**ქალები**

| | | |
|---|---|---|
| 152(-2) | მაკა ჩახნაშვილი | 202,0 |
| 322(-4) | ანა ტატიშვილი | 68,75 |
| 539(-1) | სალომე დევიძე | 27,25 |
| 563(-3) | სოფო მელიქიშვილი | 25,0 |
| 716(-10) | სოფო შაფათავა | 15,0 |
| 744 (+93) | მანანა შაფაქიძე | 13,5 |
| 773(-6) | ოქსანა კალაშნიკოვა | 12,5 |
| 789(-9) | ეკა გორგოძე | 12,0 |
| 1085(+4) | სოფო ქვაცაბაია | 5,0 |
| 1237(-166) | თეონა ცერცვაძე | 3,5 |
| 1304(+4) | მარიამ ქურდაძე | 2,75 |



AFP

# რომი ელენას ფეხქვეშ

**გაიგო** თუ არა, რომ ჟუსტინ ენინი რომში თამაშს არ აპირებდა, ელენა იანკოვიჩი აშკარად ტიტულზე დაიგეშა და მთელი კვირა სულ ფრენით იარა. ენინის არყოფნა კი ბალკანელს იმიტომ გაუხარდა, რომ ბელგიელს ვერაფერს უხერხებს და ხუთი ურთიერთშეხვედრიდან ერთხელაც ვერ მოუგო — წინა კვირას ბერლინში სულაც დიდებული შანსი გაანიავა, სადაც გადამწყვეტ პარტიაში 4:0-ს უგებდა, მაგრამ იმ მატჩის წაგებაც „მოახერხა“. ჰოდა, უენინოდ იანკოვიჩს კარგი სატიტულო შანსი ჰქონდა და მანაც ამით მშვენივრადაც ისარგებლა.

ისე, ბევრი ელოდა, რომ სერბს ფინალში მაინც ექნებოდა მცირე პრობლემები, რადგან სვეტლანა კუზნეცოვასთან უწევდა დატაკება — ეს რუსი კი საკმაოდ კარგ ფორმაშია, რაც ბოლო კვირებში დაამტკიცა და იმავე ბერლინში ფინალშიც იყო. თან კუზნეცოვა არც რომში გამოიყურებოდა ცუდად და იანკოვიჩისა არ იყოს, გადამწყვეტ მატჩამდე ისიც სეტწაუგებლად მივიდა.

მაგრამ არა — იანკოვიჩმა პირწმინდად დაჩაგრა თავისი მეტოქე და წლეულს მესამე ტიტულიც გაინაღდა. აქამდე სერბს წლის დასაწყისში ოკლენდში და ორიოდ თვის წინ ჩარლსტონის თიხნარზე ემარჯვა. ასე რომ, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ სერბი დამდეგ „როლან გაროსზე“ ერთ-ერთ ფავორიტად უნდა განვიხილოთ.

„ბოლო დროს მართლაც კარგად ვთამაშობ, აშკარად ვუმატებ, რაც თავისთავად ძალიან მსიამოვნებს. დღეს კი თითქმის იდეალურად ვიჩოგნავე და მეტოქის ბოძებული შანსები გამოვიყენე“ — ხარობდა ნამატჩევს იანკოვიჩი, რომელიც რეიტინგში თავისთვის ჯერჯერობით უმაღლეს, მე-4 საფეხურზე აღზევდა.

კუზნეცოვა კი მხოლოდ მე-11 ჩოგბურთელია, რომელიც მიყოლებით გავიდა ბერლინისა და რომის ფინალებში, მაგრამ მხოლოდ მეორეა, ვინც ვერც ერთის მოგებას ვერ შეძლო. აქამდე იგივე 14 წლის წინ გაბრიელა საბატინის დაემართა. წლეულს კუზნეცოვა ძალიან უიღბლოა, რადგან ოთხ ფინალში ითამაშა და ყველა წააგო

ერთი-ორი სიტყვით შევეხოთ მაროკოს ქალაქ ფესში დამთავრებულ ტურნირსაც, სადაც მთელი კვირა ბლომად სენსაციები აღინიშნა, რის შედეგადაც ფინალში არც ერთი განთესილი არ მოხვედრილა. მაროკოს ქვიშებში გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთს კანადელი კაროლინ ვოზნიაკი და ვენესუელელი მილაგროს სექუერა დაეტაკნენ. ეს ორივესთვის ლამის კარიერის შანსი იყო, რადგან მომავალში კიდევ შეძლებენ თუ არა ასე მაღლა აფრენას, არავინ იცის.

ამ ჯახში გამარჯვება უფრო გამოცდილ სექუერას დარჩა, რომელიც პირველი ვენესუელელი ჩოგნის მჭნეველი ქალია, ვინც WTA-ს ტურნირი მოიგო.

**ძაბა ლომაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქართულ ჩოგბურთს ხორვატი დააკვირდება



ლეილა მესხი

**კვირას** დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი 14 და 16-წლამდელ ჩოგბურთელთა შორის. გოგონებში პირველობა არავის დაუთმეს სალომე კვიტაშვილმა და ანა ჯიქიამ. კვიტაშვილმა 14-წლამდელებში იჩემპიონა, ჯიქიამ კი 16 წლიანებში აჯობა ყველას. ვაჟ ჩოგბურთელთა შორის საუკეთესოები დავით ხუციშვილი და შოთა პაიჭაძე გახდნენ. უმცროსებში ხუციშვილმა, დიდებში კი პაიჭაძემ იპირველა. გუშინვე ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიაში იუჯითი თასის გათამაშება დაიწყო 10, 12, 14 და 16-წლამდელ ჩოგბურთელთა შორის. ამასთან დაკავშირებით გუშინვე ჩოგბურთის ფედერაციამ პრესკონფერენცია გამართა. აკადემიაში ჟურნალისტებს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლეილა მესხმა, ვიცე-პრეზიდენტმა ლევან რაზმაძემ და კომპანია იუჯითის პრეზიდენტმა გიორგი ჭირაქაძემ უმასპინძლეს. ჟურნალისტების წინაშე წარდგა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხორვატი დამკვირვებელი ხროვეს მაზლჩიც, რომლის თბილისში ჩამოსვლასაც დაამთხვიეს იუჯითის თასის გათამაშების დაწყება.

თავიდან სიტყვა *ლეილა მესხმა* აიღო: „ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ტურნირის ჩატარება ბავშვებისთვის. მასში 200-მდე სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. ბავშვები გამოცდილებას შეიძენენ და კიდევ უფრო გამოიწრთობიან. მინდა მადლობა გადავუხადო კომპანია იუჯითის პრეზიდენტს, რომელიც აქტიურად გვეხმარება. ასეთი ტურნირის სპონსორობა ნამდვილად არ არის ადვილი.

ამ ტურნირში გაომრჩეულები, ასევე საქართველოს ჩემპიონატზე და აირზენას თასზე გამაჯვებულები დააკომპლექტებენ საქართველოს ნაკრებს, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე გამოვა."

ამის შემდეგ კომენტარი გიორგი ჭირაქაძემ გააკეთა: „ჩვენი მიზანია, რომ ბავშვებს ჯანსაღი ცხოვრების საშუალება ჰქონდეთ. ჩოგბურთი იმიტომ ავირჩიეთ, რომ მოგვწონს ფედერაციის მუშაობა და მიდგომა სპორტის მიმართ. იმედია, ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება და ბავშვებიც კიდევ უფრო მეტად ჩაერთვებიან სპორტის ამ სახეობაში.

რაც შეეხება ხორვატ დამკვირვებელს, ის საქართველოში ჩოგბურთის განვითარების ტენდენციას დააკვირდება.

იუჯითი თასის გათამაშება შაბათს, 26 მაისს დამთავრდება.

**ლევსო მაისურაძე**

# იან ჰომერზე ახალი ისტორია იწერება

**გუშინ იან ჰომერის საჩოგბურთო აკადემიის საპრესკონფერენციო დარბაზში ჟურნალისტებს კომპანია ქართული ჩოგბურთის პრეზიდენტი დავით ლანჩავა, „კოკა-კოლას" მარკეტინგის მენეჯერი გოგა რობაქიძე, მოყვარულ და ვეტერან ჩოგბურთელთა ფედერაციის პრეზიდენტი ვოვა გოგლიძე შეხვდნენ და 26-27 მაისს მოყვარულ და ვეტერან ჩოგბურთელთა შორის ჩასატარებელ ტურნირზე ესაუბრნენ**

*დავით ლანჩავა:* „მსგავსი ტურნირი საქართველოს ისტორიაში პირველად ჩატარდება. გვინდა, რომ „კოკა-კოლასთან" აქტიური თანამშრომლობით ჩოგბურთის განვითარებას ჩავუყაროთ საფუძველი. ეს სპორტი საქართველოში კიდევ უფრო პოპულარული უნდა გახდეს.

დღეიდან ახალი სლოგანი გვექნება — „კოკა-კოლა" და ქართული ჩოგბურთი". ტურნირში გამარჯვებულები მედლებით დაჯილდოვდებიან, რომელსაც ჩვენი ახალი პარტნიორი ქართული ზარაფხანა დაამზადებს. ჩემპიონი ოქროს მედალს მიიღებს, მეორე ადგილოსანი — ვერცხლს, მესამეზე გასულს თითბრის ან ალუმინის მედალი გადაეცემა, რადგან ბრინჯაო ცოტა ძნელად დასამზადებელია.

გვინდა, რომ ეს ტურნირი ტრადიციული გახდეს და მასში რაც შეიძლება, მეტმა ადამიანმა მიიღოს მონაწილეობა. ამიტომაცაა, რომ მონაწილეთა რაოდენობა შეუზღუდავია. ტურნირში მონაწილეობის მსურველებს შეეძლებათ, რომ 24-25 მაისს 10-დან 5 საათამდე დარეგისტრირდნენ. კენჭისყრა 25-ში 5 საათზე შედგება."

*გოგა რობაქიძე:* „გვინდა, რომ მაქსიმალურად დავეხმაროთ ქართულ ჩოგბურთს. მით უფრო, რომ სათამაშოდ მშვენიერი პირობებია. იან ჰომერის აკადემიაში საჩოგბურთო ინფრასტრუქტურა უმაღლეს დონეზეა. ასეთი ჩოგბურთის ცენტრი ამიერკავკასიაში არ არსებობს. ამ სპორტის განვითარებისთვის ყველა პირობაა შექმნილი.

მომავალში დაგეგმილია რეიტინგ ლისტის შედგენა, ოქტომბერში კი ამ ეგიდით ბოლო ტურნირი შედგება. გამოვლინდება 8 საუკეთესო ჩოგბურთელი, რომლებიც ვეტერანთა და მოყვარულთა შორის საერთაშორისო ტურნირებში მიიღებენ მონაწილეობას.

**ლევსო მაისურაძე**



# შინ და გარეთ, ზღვაზე და მთაში

## შოთა ხაბარელმა ჯიკი ბრაზილიისთვის დაგეგმა

**ძიუდოისტებმა პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ეტაპის პირველი ნაწილი ბუქარესტულ მსოფლიოს თასით ჩაამთავრეს. რუმინეთის მთავარქალაქიდან საქართველოს ნაკრებმა ოთხი მედლით დაბრუნდა და სალიცენზიო რეიტინგში ჩვენებურები ისევ ლიდერთა შორის არიან, თუმცა მსგავსი დატვირთვის მორიგ ტურნირებამდე მთავარი საფიქრალი სექტემბერში რიო დე ჟანეიროში ჩასატარებელი მსოფლიოს ჩემპიონატია. ნაკრების თავკაც შოთა ხაბარელს გუშინ საღამოს, რუმინეთიდან დაბრუნებისთანავე ვესაუბრეთ**



— გადატვირთული საგაზაფხულო გრაფიკის გათვალისწინებით, რუმინული მსოფლიოს თასის შედეგებით კმაყოფილი ვარ. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ბიჭები გადაღლილები იყვნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბელგრადში ნაჭიდავებმა შემადგენლობამ საკმაოდ კარგად ჩაატარა მსოფლიოს თასების და სუპერთასების სერია. იგივეს ვიტყვი ნაკრების სხვა კანდიდატებზეც.

— ოლიმპიადის სალიცენზიო ეტაპი შემოდგომამდე შეწყდა. როგორ შეაფასებთ შეგირდების საპეკინე შანსებს?

— ამ მხრივ არაფერია სანერვიულო. თითქმის ყველა წონაში მოწინავე მოწინავეთა შორის ვართ და იმედია, სალიცენზიო ეტაპის ბოლომდე ასევე გაგრძელდება.

— **უფრო კონკრეტულად, ბუქარესტში ნაჭიდავებ ძიუდოისტებზე**

— მთავარი სიხარულით, ნესტორ ხერგიანით დავიწყებ. მისი წარმატების ყოველთვის გვეიმედებოდა და ამჯერადაც ასე იყო, მაგრამ რუმინეთში ნესტორის ჭიდაობამ მოლოდინს გადააჭარბა. მეტოქეებს ისე გაუსწორდა, ოქროს ულაპარაკოდ იმსახურებდა. ბრწყინვალე ფორმაშია და მჯერა, მსოფლიოს ჩემპიონატამდე კიდევ უფრო მოუმატებს. 60 კილოგრამის ლიდერი კი გამოკვეთილია, მაგრამ ურიგოდ არც ვახტანგ ხოსიტაშვილს უჭიდავია. 81 კილოგრამშიც აღფრთოვანებული დავრჩი ბიჭების გამოსვლით. ამ წონაში ნაკრებში ორი ფავორიტი გამოიკვეთა. ბუქარესტში ორივემ ბრინჯაოს მედალი აიღო. გიორგი ბაინდურაშვილმა და საბა გავაშელიშვილმა უძლიერესი მეტოქეები წაქციეს. ბაინდურაშვილი მსაჯებს რომ არ დაეჩაგრათ, ალბათ ჩემპიონობასაც შეძლებდა. მსაჯების შეცდომების გამო დარჩა ფინალს მიღმა ირაკლი ცირეკიძეც (90კგ). მას ნახევარფინალში უეჭველი გდებები არ შეუფასეს ბელარუს კაზუსიონაკთან. რეპეშაჟის ფინალში კი უძლიერეს ესპანელს, დავიდ ალარზას აჯობა.

100 კილოგრამში ლევან რაზმაძეს ჰქონდა შანსი, ნაკრების ლიდერობაზე სერიოზული განაცხადი გაეკეთებინა, მაგრამ ამჯერად არ გამოუვიდა. ნოდარ მეტრეველის ჭიდაობით კი მართლა კმაყოფილი ვარ. ეს ახალგაზრდა ბიჭი უფროსებში ფაქტობრივად ახლა იწყებს კარიერას და გამოცდილება ნელ-ნელა შედეგებსაც დაეტყობა. მეოთხედფინალს რომ ვერ გასცდა, მნიშვნელოვანწილად მისი შებოჭილობის და ნერვიულობის ბრალი იყო. მძიმე წონაში ყველაფერი მშვენივრად მიდიოდა — ზვიად ხანჯალიაშვილი და ადამ ოქრუაშვილი ნახევარფინალში გავიდნენ, მაგრამ მერე ყველაფერი წყალში ჩაყარეს და ბრინჯაოს მედლებიც კი ვერ მოიპოვეს. მათი ბოლო ორი ბრძოლით იმედგაცრუებული დავრჩი.

— **ევროპის ჩემპიონატის შემდეგ თქვით, რომ მსოფლიომდე შემადგენლობის შეცვლას არ გამორიცხავდით. ახლა როგორ ფიქრობთ?**

— რადიკალური ცვლილებები რომ არ იქნება,, ფაქტია. უმეტეს წონებში უკვე გამოკვეთილია ბრაზილიაში წამსვლელთა ვინაობა.

— *კონკრეტულად რომელ წონებში?*

— 60, 66, 73, 90 და 100 კილოგრამებში. ნესტორ ხერგიანი, ზაზა კედელაშვილი, დავით ქევხიშვილი, ირაკლი ცირეკიძე და ლევან ჟორჟოლიანი შიდა კონკურენციაში აშკარად გამოირჩევიან. შესაბამისად, მსოფლიოს ჩემპიონატზე ჭიდაობის უკეთესი შანსიც აქვთ, თუმცა არამც და არამც გარანტირებული. ტურნირი სექტემბერშია და შიდა კონკურენციაც იქამდე გაგრძელდება.

— 81 კილოგრამსა და მძიმე წონაში როდისღა გამოიკვეთებიან ლიდერები?

— სექტემბრამდე დაგეგმილ შეკრებებსა და ტურნირზე, რომელიც გერმანიაში აგვისტოში უნდა ვიჭიდავოთ. მძიმე წონას უკვე ჰყავს ლიდერი ლაშა გუჯეჯიანის სახით. გასარკვევი მხოლოდ ის გვექნება, ვინ დადგება აბსოლუტურ წონაში.

— არ იქნება, ოლიმპიურ ჩემპიონ ზურაბ ზვიადაურზეც არ გკითხოთ. ხანგრძლივი უქმობის შემდეგ თითქოს ფორმაში შედიოდა. მსოფლიოს თასზე საპრიზოზეც გავიდა, მაგრამ სულ ეს იყო, ბუქარესტში პირველსავე წრეში დამარცხდა...

— სამწუხაროდ, ზვიდაურს დისკოზი აწუხებს და სერიოზული მკურნალობა სჭირდება. მისი მსოფლიოს ჩემპიონატზე ჭიდაობა ადრევე გამოირიცხა. აუცილებლად ბოლომდე უნდა განიკურნოს და მერე განაახლოს ვარჯიში.

— **მსოფლიოს ჩემპიონატისწინა სამზადისს როდის იწყებთ?**

— დაახლოებით ორი კვირა თბილისში ვივარჯიშებთ. 12 ივნისიდან გეგმაში პირველი აღდგენითი შეკრება გვაქვს, რომელსაც შავი ზღვის სანაპიროზე გავივლით. 1-7 ივლისს მინსკში გავემგზავრებით და დაახლოებით ორმოცდაათამდე ნაკრებთან ერთად ერთობლივ შეკრებაში ჩავერთვებით. იქიდან დაბრუნებულები 4-5 დღეში 20-დღიან ბაკურიანულ შეკრებას მოვაწყობთ, რომელიც ძირითადად ფიზმომზადებას დაეთმობა. მერე ორი კვირით ბორჯომში ვივარჯიშებთ. დასკვნით 10-დღიან შეკრებას კი რიო დე ჟანეიროში გავივლით. მსოფლიოს პირველობის მასპინძელ ქალაქში ასე ადრიანად ჩასვლა ადაპტაციაშიც დაგვეხმარება. ბიჭებმა ფორმის პიკს სწორედ ბრაზილიაში უნდა მიაღწიონ.

**ოთარ გაღლაძელიძე**

## ზე-14. ფინალი დურბანი, სამხრეთ აფრიკა

# ხარებმა აფრიკა ააფრინეს



**ბულზი 20:19 შარქსი**

ბულზი: რუთსი, ნდუნგანე, ნილი, ოლივერი, ჰაბანა; პუგაარდი, დუ პრეეცი; სპისი, ფან ჰეერდენი, ვანენბურგი, მეტფილდი (კაპ), ბ. ბოთა, გერბერი, გ. ბოთა, სტეენკამპი
სათადარიგოები: ენგელსი, თიარტი, როსოუ, კუინი, ადამსი, სტეინი, ი. ფან დერ ვესტჰოიზენი
2ლ: სპისი, ჰაბანა; 2პ: პუგაარდი; 2ს: პუგაარდი
შარქსი: მონტგომერი, სტეინი, მიურეი, ბარიტი, პიტერსენი; ჯეიმსი, პინარი; კანკოვსკი, ვენტერი, ბოუთსი, მიულერი, აკერმანი, ჯ. ბოთა, სმიტი (კაპ), კარსტენსი
სათადარიგოები: დიუ პლესი, მტავარირა, ფან დენ ბერგი, ბრიცი, სკინსტადი, კოკოტი, ჯეიკობსი
2ლ: პიტერსენი, ფან დენ ბერგი; 3ს: მონტგომერი

**სამხრეთულ** საკლუბო რაგბის ახალი ჩემპიონი ჰყავს — ჩვენი ძველი ნაცნობი, სამხრეაფრიკული „ბულზი“. პრეტორიელმა „ხარებმა“ 19 მაისს ზე-14-ის ფინალში თანამემამულე და ოდინდელი მოსისხლე, დურბანელი „ზვიგენები“ 20:19 დაამარცხეს და ტურნირის 11-წლიან ისტორიაში პირველი აფრიკელი ჩემპიონები შეიქნენ. მანამდე ამ ლიგაში ერთთავად ავსტრალიური და ახალზელანდიური გუნდები ზეობდნენ, მეტადრე ეს მეორენი.

ფინალამდე ერთი კვირით ადრე „ბულზმა“ ნახევარფინალში 27:12 დასცა უსახელოვანესი ახალზელანდიური ბუმბერაზი, კრაისტჩერჩის „კრუზეიდერსი“, რომელსაც წინა 10 ტურნირიდან 5 მოუგია. „შარქსმა“ კი ამასობაში კიდევ ერთი ნაჩემპიონარი ახალზელანდიური გუნდი, ოკლენდის „ბლუზი“ 34:18 დაალეწვა და ტურნირის ისტორიაში პირველი სამხრეთაფრიკული ფინალის მოლოდინში ამ მადიანი ბურთაობის მუშტარი ხალხი დიდი ჯახის სამზერად დაიმუხტა.

მოლოდინმა ერთიათად გაამართლა. პრეტორიელებმა და დურბანელებმა ისეთი სულისშემკვრელი ბურთაობა გამართეს, მხილველები ამბობდნენ, ეს ფინალი ტურნირის ისტორიაში ყველაზე თუ არა, ერთ-ერთ ყველაზე ეშხიანი და დრამატული იყოო.

მეტოქეთ სახელები არ აკლდათ: „შარქსში“ თვალს ჭრიდნენ ქვეყნის ნაკრების კაპიტანი ჯონ სმიტი (2 ნომერი), პერსი მონტგომერი (15), ეიჯეი ვენტერი (7)... „ბულზში“ ვიქტორ მეტფილდი (5), ბრაიან ჰაბანა (11), ბაკიზ ბოთა (4)... ამათ და დანარჩენებსაც ერთმანეთის მხარდამხარაც და წინააღმდეგაც იმდენი უთამაშიათ, არ შეიძლებოდა, ეს შეხვედრა მქუხარე არ გამოსულიყო.

და გამოვიდა: გუნდებმა ერთმანეთს ორ-ორი ლელო გაუტანეს და დურბანული პუბლიკის წინ რაგბის ნამდვილი ზეიმი დადგეს. მასპინძელი „შარქსი“ თავიდან თითქოს უფრო მარჯვედ უტევდა და მთელი 80 წუთი ლიდერობდა, „ბულზი“ კი ერთთავად შორიახლოს მიჰყვებოდა.

ბოლო წუთები კი ამ ისტორიული ჯახის ნამდვილი გვირგვინი გამოდგა. „შარქსი“ 19:13 იგებდა და დრო თითქმის ამოწურულიც იყო, „ბულზს“ მხოლოდ ერთი შეტევის შანსი ჰქონდა. შეუტიეს და რა შეუტიეს „ხარებმა“. მათმა კაპიტანმა ვიქტორ მეტფილდმა დაიწყო იერიში, რომელიც ორ წუთზე მეტხანსაც გაგრძელდა. შემტევებმა ორიოდეჯერ ბურთიც დაკარგეს, მაგრამ იქვე მოიპოვეს, ბოლოს 13 პასი გადაბეს და 83-ე წუთზე ნაკრების სუპერმელელოვე ბრაიან ჰაბანამ „ზვიგენთა“ ბოლო დაცვითი ზღუდეც შეგლიჯა — 19:18 და აქ „ბულზის“ დამრტყმელმა, 2003 წლის მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ნაბურთალმა დერიკ ჰუგაარდმა ორქულიანი გარდასახვაც შეაგდო და დაიბადა ახალი ჩემპიონი. 2004 წელს საქართველოში ნამყოფმა და ჩვენებთან სამჯერ შემთამაშებელმა „ბულზმა“ თასი პირველად მოწყვიტა მსოფლიო ოკეანის სანაპიროს და აფრიკის კონტინენტის წიაღში ამაყად წაიღო.

**კოტე ყორშია**

## ჰაინეკენის თასი 2007. ფინალი

# ფეხები ფესვებად

## ვოსფსმა ჰაინეკენი დალია



**20 მაისს** ლონდონში „თვიქნემის“ სტადიონმა ჰაინეკენის თასის ფინალს უმასპინძლა. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ეს იყო ევროპის საკლუბო რაგბის ჩემპიონთა ლიგის ფინალი, რომელშიც ორი ინგლისური გუნდი — ლონდონის „ვოსფსი“ და ლესტერის „ტაიგერზი“ — შეასკდა ერთმანეთს. ისე, სიტყვა „შეასკდა“ ხმამაღალი ნათქვამია, რაკილა ლონდონელებმა ინგლისის ნაკრების ძველი კაპიტნის, აწ 37 წლის ლოურენს დალალიოს წინამძღოლობით აშკარად აჯობეს და 25:9 დარაგბეს ლესტერელები, რომლებსაც წლეულს თავიანთ კუნძულზე ყველა ტურნირი მოეგოთ და კონტინენტის მთავარი საკლუბო თასიც, დიახაც ეწადათ, მაგრამ...

„ლესტერს“, ზოგადად, უძლავრესი შერკინება ჰყავს და ბებერ კონტინენტზე მისებრ ბევრი ვერავინ აგორებს მოლს, მაგრამ „ვოსფსმა“ ამჯერად ფეხები ფესვებად გაიდგა თვიქნემის მიწაში და იქით მიეძალა. 9 ნომერმა ეოინ რედანმა და ფრანგმა კვაჭმა (2) რაფაელ იბანესმა თითო ლელო უწილადეს ლესტერელ „ვეფხვებს“, ვეტერანმა დამრტყმელმა ალექს კინგმა კი ჩუბინი ფეხით 15 ქულა შეაწია თავისიანთ.

**კოტე ყორშია**



## პლეი ოფი. ნახევარფინალი

## დასავლეთი

## დეტროიტი 2:3 ანაჰაიმი

**მეხუთე მატჩი**

**დეტროიტი 1:2 ანაჰაიმი**

*0:0 1:0 0:1 0:1 (ოვერტაიმში)*

1:0 ლილია (27, კლირი), 1:1 ს. ნიდერმაიერი (60, უმრ. სელიანე, პრონგერი),
1:2 სელიანე (72, უასისტენტოდ)



დიდი თავყრილობა დომენიკ ჰაშეკის კართან

# ლილია ელვამ დააბრმავა

ჟან-სებასტიან ჟიგერის ბრწყინვალე თამაშის წყალობით „ანაჰაიმმა“ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა სტენლის თასის ფინალისკენ — კალიფორნიელები თავიანთ კიპერს უნდა უმადლოდნენ დეტროიტში სერიის მეხუთე მატჩის მოგებას, რის შემდეგაც „იხვებს“ შემდეგ მატჩში სახლში გამარჯვებაც ეყოფათ, რათა 2003 წლის მიღწევა გაიმეორონ და დასავლეთ კონფერენცია მოიგონ.

„დეტროიტს“ კი შეუძლია, თავის თავს დააბრალოს ეს წაგება, რადგანაც თითქმის ყველა კოზირი ხელში ჰქონდა. მიჩიგანურმა გუნდმა შეცდომის დაშვების უფლება მოისპო — ახლა კალიფორნიაში გამარჯვებაზე მოუწევთ თამაში, რათა საქმე გადამწყვეტ, მეშვიდე მატჩამდე მიიყვანონ.

ისე, უნდა ითქვას, რომ „წითელფრთიანებს“ ბედმაც მაგრად უმუხთლა. გუნდი თითქმის მთელ შეხვედრას აკონტროლებდა და შეტევის იშვიათ სტუმარ, მცველ ანდრეას ლილიას მეორე პერიოდში შორიდან გასროლილით იგებდა კიდეც. „დეტროიტს“ თავისუფლად შეეძლო კიდევ მინიმუმ ერთი-ორი შაიბის გატანა, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, დიდებული იყო ჟიგერი, თან ტომას ჰოლმსტრომმა ორჯერ ცარიელ კარს ააცილა, კაპიტან ნიკლას ლიდსტრომის დარტყმა კი ხარიხას მოხვდა.

სამაგიეროდ, თავი გამოიჩინეს „ანაჰაიმის“ ლიდერებმა. მატჩის მიწურულს პაველ დაციუკის არცთუ აუცილებელი ჯარიმის შემდეგ კალიფორნიელებმა ჟიგერი თავდამსხმელით შეცვალეს და კაცნაკლულ მეტოქეს 6 ჰოკეისტით შეუტიეს. შედეგად, შეხვედრის დამთავრებამდე 47 წამით ადრე კაპიტანმა სკოტ ნიდერმაიერმა შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა. „დეტროიტს“ არ გაუმართლაო, რომ ვთქვით, სწორედ ამ ეპიზოდს ვგულისხმობდით. საქმე იმაშია, რომ ნიდერმაიერის დარტყმას ლიდსტრომი გადაეფარა, მაგრამ დახმარების მაგივრად თავის კარის დარაჯ დომინიკ ჰაშეკს დათვური სამსახური გაუწია, რადგანაც ლეგენადარულმა ჩეხმა ასხლეტილ შაიბას ვერაფერი მოუხერხა.

ოვერტაიმებში კი „იხვები“, უფრო სწორად ჟიგერი, თითქმის დაუმარცხებელია. პლეი ოფებში ამ მეკარეს დამატებით დროში 13-დან 12-ჯერ უმარჯვია და აქაც ასე მოხდა. ტეემუ სელიანემ და ენდი მაკდონალდმა ძალიან მყარად შებოჭეს ლილია მისსავე ზონაში და შაიბა აართვეს, რის შემდეგაც „ფინური ელვა“ ჰაშეკთან პირისპირ დარჩა და თავისი შანსი კარგადაც გამოიყენა.

„შაიბისართმევის შემდეგ ყველაფერი წამების მეათედებში მოხდა. ვერც კი გავიაზრე, რას ვაკეთებდი, მაგრამ ამ მოძრაობაზე მთელი კარიერის განმავლობაში ვვარჯიშობ და ახლაც ავტომატურად გავაკეთე“ — განაცხადა სელიანემ, რომელიც თავის პირველ სტენლის თასის ფინალთან ასე ახლოს ჯერ არ ყოფილა

**კახა ლომაძიშვილი**

# საქართველოს ჩემპიონატი
## ქალები. სუპერფინალი. მეორე მატჩი
# ჯიკომ მესამე და სამართალი მოითხოვა

**ჯიკო 3:0 თბილისი**

*26:24 25:17 25:16*

ჯიკო: არველაძე, ლვინჯილია, დავითულიანი, არაპეტიანი, გეგუჩაძე, იოსებაშვილი, კახაძე, შენგელია, გაბაშვილი, მიქაძე
მწვრთნელი: ნუგზარ მიქაძე
თბილისი: კოროშინაძე, ჭაუჭიძე, მძელური, პაპიძე, ყიფშიძე, ბანძელაძე, ლომიძე, ალიბეგაშვილი, ნიქარიშვილი, დანელია
მწვრთნელი: პაატა ულუმბერაშვილი

პირველ საპლეიოფო მატჩში სენსაციურად დამარცხებულმა „ჯიკომ“ მეორე შეხვედრაში გვარიანად ითამაშა და თბილისელი გოგონების საჩემპიონო ამბიციებს წყალი შეუყენა. როგორც ჩანს, თბილისელებისთვის საკუთარი მოედნის ფაქტორი სერიოზული სტიმულია. არადა, დღეს, მესამე, გადამწყვეტი შეხვედრაც დიდ ჯიხაიშში გაიმართება.

**ზურაბ მიგრიაული**






AFP ფოტოქრონიკა

ჯერმეინ ტეილორმა (მარცხნივ) კორი სფინქსს ბევრიც ვერაფერი მოადო

# სტვენა-სტვენით მოგებული ჩხუბი

**WBC-ს ვერსიით** საშუალო წონის ჩემპიონმა ჯერმეინ ტეილორმა უკვე მეოთხედ დაიცვა თავისი ტიტული, როცა ამ უქმეებზე კორი სფინქსი დაამარცხა. ამის მიუხედავად, ტეილორმა ისევ საკმაოდ საშუალო შთაბეჭდილება დატოვა და სპეციალისტთა დიდი გულისწყრომაც დაიმსახურა. გულშემატკივრებმა კი თავისი პოზიცია უშუალოდ ბრძოლის დროს გამოხატეს — მემფისის დარბაზში დაახლოებით მეხუთე რაუნდიდან სტვენა არ შეწყვეტილა.

საერთოდ, ტეილორი, მიუხედავად მრავალი წარმატებისა, ძალიან არ უყვართ ბრძოლის უკიდურესად პასიური სტილის გამო. საშუალო წონაში, სადაც არაერთი ცნობილი ნოკაუტიორი ყოფილა და გულშემატკივრები ყოველთვის შემტევი კრივის ნახვას ელოდებიან, ტეილორი გარკვეული პარადოქსია, რომელმაც იშვიათად, რაიმე დასამახსოვრებელი გააკეთოს რინგზე.

ახლაც, სფინქსთან ბრძოლისას, რომელიც სპეციალურად ამ ჯახისთვის გადმოვიდა ქვესაშუალო წონიდან და ტეილორს გაბარიტებში საკმაოდ ჩამოუვარდებოდა, ჯერმეინმა კვლავაც ძალიან პასიურად იჩხუბა, რის გამოც, უკვე მერამდენედ, ბევრს აეჭვებს მისი ჩემპიონობა. მართლაც, ბრძოლა ძალიან თანაბარი გამოდგა, რომელშიც ნოკაუტამდე კი არა, ნოკდაუნამდეც არ მისულა საქმე. ამიტომ გამარჯვებულის დასახელება დიდ პრობლემას წარმოადგენდა — მით უმეტეს, გონგის ზარის შემდეგ მოგების ნიშნად ხელები ტეილორმაც ალმართა და სფინქსმაც.

ასეა თუ ისე, სამიდან ორმა მსაჯმა ტეილორს მიანიჭა გამარჯვება. აი, სფინქსი კი ძალიან იმედგაცრუებული იყო: „მსაჯებმა, რასაც ჰქვია, ცხვირწინ ამწაპნეს გამარჯვება. ასე მართლა არ შეიძლება“.

თავად ტეილორი კი არაფერს დაგიდევთ — მან ქამარიც დაიტოვა და რინგზე ჯერაც დაუმარცხებელია (27 მოგება, 1 ფრე). პასიურობა კი ჯერმეინმა, როგორც უკვე არა ერთხელ მომხდარა, ისევ თავის მეტოქეს გადააბრალა:

„აბა, რა უნდა მექნა — სულ დარბოდა, ერთხელაც არ მოსულა ახლოს და ნოკაუტში როგორ გამეშვა. ვერ გავიგე, ეს სპრინტი იყო თუ კრივი, ამიტომაც გამომივიდა ეგეთი უხეირო გამარჯვება. თუმც მოგება მოგებაა და სანამ ვიგებ, მნიშვნელობა არა აქვს, ამას როგორ გავაკეთებ“.

თუმც ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ამას მაინც ექნება მნიშვნელობა — ზუსტად ამ ბრძოლის წინ გაირკვა ტეილორის მომავალი მეტოქის ვინაობა. ახალგაზრდა ამერიკელმა კელი პავლიკმა, რომელიც სპეციალისტთა აშკარა ფავორიტია ნოკაუტებზე დაგეშილობის გამო, უკვე მესამე რაუნდში ჩააძუტა ფიცარნაგს კოლუმბიელი ედისონ მირანდა და WBC-ს ქამრის სავალდებულო პრეტენდენტიც გახდა. აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ პავლიკს გულშემატკივრები გაცილებით მეტი ეყოლება.

**კახა ლომჰაშვილი**






AFP ფოტოქრონიკა

# სიკვდილი წითელი მთვარის ქვეშ
## ამერიკული მისანი ხმელთაშუა ზღვაში ჩაიძირა

**ვალენსიის** წყლებში ჩაეყარათ ამერიკელებს სუპერნავ „ბმვ-ორეიკლზე“ დახარჯული ამერიკული და გერმანული მილიონები. ჯერ ლუი ვუტონის, შემდეგ კი ამერიკის თასის მსურველ იანკებს გვარიანად მცირებიუჯეტიანმა, მაგრამ არანაკლებ გამოცდილი ზღვაოსნებით დაკომპლექტებულმა იტალიურმა „ლუნა როსამ“ აჯობა და მშრალზე დასვა.

წაგებაცაა და წაგებაც — „ბმვ-ორეიკლი“ 1:5 რომ დამარცხდებოდა, ამ ნავის მოძულე ყველაზე თამამი პროგნოზისტებიც ვერ იფიქრებდნენ. ამერიკელები აშკარად აჭრილები ჩანდნენ მთელი ამ ნახევარფინალური სერიის დროს და პირველი მარცხის შემდეგ 1:1 რომ გაათანაბრეს, მას შემდეგ ისეთი ვერაფერი გააკეთეს, ამ გაქანების იახტასა და ეკიპაჟს რომ ეკადრება. „ლუნა როსა“ აშკარად ჩაგრავდა მეტოქეს. ბოლოს ამერიკელთა კაპიტანმა ეკიპაჟში სერიოზული ცვლილებები შეიტანა — ზოგი აქეთ გადასვა, ზოგი გადმოსვა, ზოგი კი სულ ამოსვა ნავიდან და სხვებით ჩაანაცვლა. კვირას დილით კრის დიქსონი ამბობდა, ეს ცვლილებები საქმემ მოითხოვა და ჩვენ არათუ გვასუსტებს, პირიქით, გვაძლიერებსო — „მთელი ჩვენი ცოდნის და საუკეთესო ძალების კონცენტრირება მოვახდინეთ. ვიტყვი, რომ გამარჯვების კარგი შანსი გვაქვს, ვიტყვი, რომ მებრძოლი გუნდი ვართ და არასოდეს ვნებდებით“.

მაგრამ სკიპერის სიტყვები ორიოდ საათში მსუბუქმა ხმელთაშუაზღვიურმა ბრიზმა გაფანტა — ამერიკული იახტა ისევე სუსტად გამოვიდა, როგორც წინა დღეებში და ისევე უშანსოდაც წააგო. იტალიელთა ავსტრალიელმა კაპიტანმა ჯეიმს სპიტილმა და მისმა ეკიპაჟმა ახლაც აჯობა „იანკების“ გუნდს. პირველივე გზობაზე დაწინაურებულმა „ლუნა როსამ“ ტივტივას „ორეიკლზე“ 33 წამით ადრე შემოუარა და აღარც გაუშვია ეს უპირატესობა.

იტალიური იახტა ასე დამაჯერებელი სვლით შეცურდა ლუი ვუტონის თასის ფინალში, სადაც ახალზელანდიურ „თიმ ნიუ ზილენდსა“ და ესპანურ „დესაფიო ესპანიოლის“ შორის მჯობნს აუშლის აფრებს. ამ მეორე ნახევარფინალურ წყვილში ძნელი არაა გამარჯვებულის ამოცნობა. ახალზელანდიური იახტა 4:1 ლიდერობდა და ყველა ელოდა, რომ კვირასვე დაამშვებინებდა დროშას ხუან კარლოსის ქვეშევრდომებს, მაგრამ ესპანელებმა ასე იოლად დანებება არ ინებეს. მეექვსე შეხვედრაში ისინი გვერდიგვერდ მიჰყვნენ ახალზელანდიელებს და ნახევარი კორპუსით უსწრებდნენ. პირველ ტივტივასთან 12 წამით მიასწრეს, ფინიში კი 15 წამით ადრე გადაკვეთეს. ამ მოგებით ესპანელებმა სხვაობა 2:4 შეამცირეს და „სიცოცხლე“ გაიხანგრძლივეს.

**კოტე ყორშია**



# კოკაის ციცაბო კიბე

**საბოლოო** უარყოფითი ბალანსის, მაკეკოსის, ზღვარზე მდგომმა ქართველმა სეკიტორმა ლევან ცაგურიამ მეორედ მოიგო და უარყოფითი ბალანსი ხუთ ქულამდე შეამცირა. აღმოსავლეთის მეორე მაეგაშირად წოდებულ ჩვენებურს ნაბიჯით წინ წასაწევად დარჩენილ ექვს ტურში ერთი წაფორხილების უფლებაც არ აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში სუმოს იერარქიულ კიბეზე უკან დაიხევს.

გუშინ „შავმა ზღვამ“ 21 წლის მონღოლი კაკურიუ გაისროლა დოჰიოდან და ამისთვის სამი კუპარი — კორპუსში ტყუპი ხელით ბიძგი დასჭირდა. დღეს კი მისი მეტოქე პატარა ტანკად მონათლული კაკიძოე იქნება.



AFP

იმერატორის თასისკენ წაუგებლად ორი სეკიტორილა მიიწევს. მეცხრე ტურამდე უდანაკარგოდ მისულ ლიდერ კვარტეტს გუშინ რიგითი მაეგაშირები — დეჟიმა და ფუტენო — გამოაკლდნენ და პირველობისთვის იოკოძუნა ასასიორიუს და გაიოკოძუნების რეალურ კანდიდატს, მარტის ბაშოს მომგებ ოძეკი ხაკუხოს შეატოვეს. „ცისფერმა დრაკონმა“ წაუგებელი სერია სეკივაკე ამას მაყურებლებში გადასროლით მიითვალა. „თეთრმა ფენიქსმა“ კი დიდი წვალებით აჯობა 168-სანტიმეტრიან ტოინოსიმას.

დეჟიმას და ფუტენოს გარდა, ცხრაქულიან ლიდერებს კვალში ყველაზე ახლოს ოძეკი კაიო, სეკივაკე კოტომიცუკი და დასავლეთის მერვე მაეგაშირა ასასეკირიუ უდგანან, ხოლო ოძეკებმა — კოტოოსიუმ და ტოიტაიკაიმ — გუშინ მეორედ წაიფორხილეს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ველორბოლა

Giro d'Italia

## 90-ე ჯირო დიტალია. 12 მაისი — 3 ივნისი

# ბეტინი არც არვესენმა აპირველა



ჯგუფურ რბოლაში ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონმა, იტალიელმა პაოლო ბეტინიმ ვერც ამ ჯერზე მოახერხა ეტაპის მოგება. მსოფლიოს ჩემპიონის სარგო ცისარტყელისფერება მაისურაში გამოწყობილი ბეტინი წლევანდელ „ჯიროზე" უაღრესად აქტიურია და უკვე სამჯერ იყო მეორე, მაგრამ ეტაპის მოგება ჯერ აუხდენელ ოცნებად აქვს.

მე-8, ორასკილომეტრიანი ეტაპი ლეგენდარული ავტოკონცერნის, „ფერარის" ბაზიდან, მიუჯელოს ავტოდრომიდან დაიწყო. გზაზე ორი იოლად დასაძლევი მთა იყო და ზუსტად დისტანციის შუა მონაკვეთში პელოტონს 22-კაციანი ჯგუფი მოწყდა. ამ ჯგუფმა სინქრონულად იმუშავა, გვარიან უპირატესობას მიაღწია და ფინიშზე, ფიორანო მოდენეზეში, სწორედ მისმა წევრებმა გაარკვიეს გამარჯვებულის ვინაობა.

ბეტინი ძალიან მოწადინებული იყო და, თითქოს პირველიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ, CSC-ის ნორვეგიელმა კურტ-ასლე არვესენმა აჯობა და კარიერაში პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა.

საერთო ჩათვლაში წინ, კვლავაც მარკო პინოტია, მაგრამ მისი უპირატესობა ისე შთამბეჭდავი აღარ არის — მეორე ადგილზე მყოფი ანდრეა ნოე თანამემამულეს 28 წამითღა ჩამორჩება.

რაც შეეხება ფავორიტებს — დანილო დი ლუკას, დამიანო კუნეგოსა და პაოლო სავოლდელის, ისინი ჯერჯერობით ჩრდილში ყოფნას ამჯობინებენ და მთებს ელიან. მერვე ეტაპის შემდეგ დი ლუკა ლიდერთან ოთხ წუთზე, ხოლო კუნეგო და სავოლდელი ხუთ წუთზე მეტს აგებენ. მათთვის ცუდი ის იყო, რომ გაქცეულ 22-კაციან ჯგუფში მძლავრი ამერიკელი ჯორჯ ჰინკეიპიც იყო, რის შედეგადაც მან იტალიელ ფავორიტებს საერთო ჩათვლაშიც გვარიანად გაასწრო და ახლა მეთოთხმეტეა პინოტისთან 3 წუთისა და 4 წამის ჩამორჩენით.

### მე-8 ეტაპი. ბარბერინო დი მიუჯელო — ფიორანო მოდენეზე. 200 კმ

| | |
|---|---|
| 1 კურტ-ასლე არვესენი (ნორვეგია, CSC) | 4 სთ 44 წთ 59 წმ |
| 2 პაოლო ბეტინი (იტალია, „ქვიკ სტეპი") | |
| 3 ასან ბაზაევი (ყაზახეთი, „ასტანა") | |
| 4 ევგენი პეტროვი (რუსეთი, „ტინკოფი") | |
| 5 დიონისიო გალპარსორო მარტინესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | *ყველას იგივე დრო* |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1 მარკო პინოტი (იტალია, „T-მობაილი") | 34 სთ 48 წთ 34 წმ |
| 2 ანდრეა ნოე (იტალია, „ლიქუიგასი") | +28 წმ |
| 3 სერგეი იაკოვლევი (ყაზახეთი, „ასტანა") | +54 წმ |
| 4 მარსიო ბრუსეგინი (იტალია, „ლამპრე") | +1წთ 06 წმ |
| 5 ფრანსისკო ვილა ერანდონეა (ესპანეთი, „ლამპრე") | +1წთ 10 წმ |

მძლეოსნობა

# დეფარის ორი მილი


AFP კორბისისი

ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიულ ქალაქ კერსონში იააფ-ის (მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია) ეგიდით საკმაოდ წარმომადგენლობითი შეჯიბრი ჩატარდა, რომელიც ეთიოპიელმა მდედრმა ქურციკმა მესერეტ დეფარმა მსოფლიოს რეკორდით დაამშვენა.

5000 მეტრზე სირბილში ოლიმპიურმა ჩემპიონმა კერსონში 2 მილზე ირბინა და ეს, ჩვენთვის არატრადიციული მანძილი 9 წუთსა და 10,47 წამში გალია, რაც ზუსტად წამნახევრით აღემატება ძველ რეკორდს, რომელიც ამერიკელმა რეჯინა ჯეკობსმა 1999 წელს დაამყარა.

აღსანიშნავია, რომ კალიფორნიაში ჩასული დეფარი რაღაცით მოიწამლა და შეჯიბრის წინა დღეს შეუძლოდ იყო, მაგრამ მაინც ირბინა და რეკორდიც გამოაცხო.

23 წლის ეთიოპიელის გარდა კერსონში სხვა ათლეტებმაც გამოიჩინეს თავი. ორმა, სულაც ამერიკის ნაციონალური რეკორდები დაამყარა — ბრიუს გრირმა კაცთა შუბის ტყორცნაში (90,72), ხოლო ჯენ სტუჟინსკიმ ქალთა ჭოკით ხტომაში (4,84).

კიდევ რამდენიმე სახეობაში სეზონის საუკეთესო შედეგები აღინიშნა: ქალთა 100 მეტრი ტორი ედვარდსმა 10,90 წამში გაირბინა, ქალთავე 200 მეტრზე ელისონ ფელიქსმა 22,18 წამი აჩვენა, 100 მეტრზე ქალთა თარჯრბენში მიშელ პერიმ 12,58 წამში ირბინ-იხტუნა, კაცთა 200 მეტრი ვოლეს სპერმონმა 19,91 წამში გალია, ხოლო კაცთა 400 მეტრზე თარჯრბენში კენეტ ფერგიუსონმა თარჯებიან წრეს 48,15 წამში შემოურბინა.

სეზონის საუკეთესო და ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აღინიშნა კაცთა 100 მეტრზე სირბილშიც — უნიჭიერესმა ამერიკელმა ტაისონ გეიმ 9,79 წამში გალია ეს მანძილი, მაგრამ მისდა სამწუხაროდ, ამ დროს ზურგქარი დასაშვებ 2 მეტრ-წამზე მეტი, 2,5 მეტრი-წამში იყო და ამიტომაც გეის შედეგი სეზონის საუკეთესოდ ვერ ჩაითვლება.

ავტორბოლა

WRC World Rally Championship

## მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში

### მეშვიდე ეტაპი. იტალია. 348,[illegible] კმ


მარკუს გრონჰოლმი

### რბოლის შედეგები

| | |
|---|---|
| 1. მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, ფორდი) | 3სთ; 44.09,4 |
| 2. მიკო ჰირვონენი (ფინეთი, ფორდი) | ჩამორჩა 30,5 |
| 3. დანიელ სორდო (ესპანეთი, სიტროენი) | 1.22,7 |
| 4. ჰენინგ სოლბერგი (ნორვეგია, ფორდი) | 1.29,6 |
| 5. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 2.28,5 |
| 6. ტონი გარდმაისტერი (ფინეთი, მიცუბისი) | 4.55,8 |
| 7. მანფრედ შტოლი (ავსტრია, სიტროენი) | 5.22,1 |
| 8. იანი ჰანინენი (ფინეთი, მიცუბისი) | 9.27,5 |

### საერთო ჩათვლა

1. გრონჰოლმი — რაუტიაინენი 55 ქულა; 2. ლოები — ელენა (საფრანგეთი, სიტროენი) 48; 3. ჰირვონენი — ლეჰტინენი 44, 4. სორდო — მარტი 28; 5. ჰენინგ სოლბერგი — მენკერუდი 20; 6. პეტერ სოლბერგი — მილსი 20; 7. ლატვალა — ანტილა (ფინეთი, ფორდი) 12; 8. ატკინსონი — პრევო (ავსტრალია, სუბარუ) 12; 9. კარლსონი — ჟირადე (შვედეთი, სიტროენი) 9; 10. გარდმაისტერი — ჰონკანენი 8

### კონსტრუქტორთა თასი

ფორდი 99 ქულა, სიტროენი 78, სტობარდ-ფორდი 37, სუბარუ 34, კრონოს-სიტროენი 25.

მოტორბოლა

## მსოფლიოს ჩემპიონატი. მეხუთე ეტაპი

### საფრანგეთის დიდი პრიზი. ლე მანი — 4,18 კმ

#### მოტო გრან პრი — 117,04 კმ

| | |
|---|---|
| 1 კრის ვერმიულენი (ავსტრალია, სუძუკი) | 50 წთ; 58,7 |
| 2 მარკო მელანდრი (იტალია, ჰონდა გრესინი) | ჩამორჩა 12,6 |
| 3 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, დუკატი მალბორო) | 27,3 |
| 6 ვალენტინო როსი (იტალია, ფიატ იამაჰა) | 53,6 |

#### საერთო ჩათვლა

1 სტოუნერი 102 ქულა; 2 როსი 81; 3 დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) 62; 4 მელანდრი 61; 5 ვერმიულენი 55

#### 250 სმ³ — 108,68 კმ

| | |
|---|---|
| 1 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) | 43 წთ; 12,2 |
| 2 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, კოპრონ ჰონდა) | ჩამორჩა 0,2 |
| 3 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, ასპარ აპრილია) | 2,7 |

#### საერთო ჩათვლა

1 ლორენცო 120 ქულა; 2 დოვიზიოსო 88; 3 დე ანჯელისი 75; 4 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, მასტერ აპრილია) 64; 5 ჰექტორ ბარბერა (ესპანეთი, ტოტი აპრილია) 47

#### 125 სმ³ — 100,32 კმ

| | |
|---|---|
| 1 სერხიო გადეა (ესპანეთი, ბანკახა აპრილია) | 41 წთ; 50,1 |
| 2 ლუკაშ პეშეკი (ჩეხეთი, ზელორფ დერბი) | ჩამორჩა 0,5 |
| 3 ბრედლი სმიტი (დიდი ბრიტანეთი, რეპსოლ ჰონდა) | 3,0 |

#### საერთო ჩათვლა

1 პეშეკი 91 ქულა; 2 გაბორ ტალმაში (უნგრეთი, ბანკახა აპრილია) 82; 3. ჰექტორ ფაუბელი (ესპანეთი, ბანკახა აპრილია) 77; 4. სიმონე კორსი (იტალია, სკაილდ აპრილია) 55; 5. გადეა 46

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge